№ 2639
ხუთშაბათი,
14 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2639
ხუთშაბათი,
14 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცელისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896–1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 373.

ორშაბათს, 18 ოქტომბერს სოფელ ძველ გავაზის ღვთის-მშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ტიურენჩენის ბრძოლაში მოკლულის მე-12 ციმბირის მსროლელთა პოლკის პოდპორუჩიკის
თ. ალექსანდრე დიმიტრის ძის ვახვახიშვილისა,
რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა და მამა კნ. თამარა ალექსანდრეს ასული და დიმიტრის ზაალის-ძე ვახვახიშვილები—შვილებით და ბებია კნ. თინათინ ივანეს ასული აფხაზი. (2—3899—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება **იოანე ლეიდენელი** ოპერა 4 მოქ., მუს. მეიერბერისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნიკიტსკაია, პეტროვა-ზვანცევა; ბ-ნნი: დონსკოი, გალეცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი და დემიტოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
15 ოქტ.—„პიკოვაია დამა“; 16 ოქტ.—„ვერტერი“. გამგე ი. ა. კელლერი

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. კალლიზენ
რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნებს. ტელეფონი № 679. (0—173)

საარტისტო საზოგადოების შენობაში პირველ-ხარისხოვანი რესტორანი
«ანონა»
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი. ყოველ დღე უკრავს ცნობილი
რუმინელთა ორკესტრი
დილით 2-დან 5-მდე, საღამოთი 9-დან 2 ს.-მდე.
სასტუმროს პატრონი ი. ტ. ბონდარენკო.
(7—346—4)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
გ. ტ. მუღლინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ქამოიძე.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ი. ქიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
ა. მიდიმანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მძ. ქალი ც. ქ. იოსელიანი.—ქალისა და [illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ჰ. ა. ბიცეძე.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. გ. მონინი.—ქალისა, [illegible] და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირით. 1—2 საათამდე.
გ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. გ. ხოზოლდიმსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
გ. გ. ხოზოლდიმსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოსთვის აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კვარტლები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б. (წინ.)
ტელეფონი № 274

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—5—25)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—34)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—16)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—6)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ჟისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

ექიმი
ქ. ნ. თეთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. სუდებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—16)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
13 ოქტომბერი

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 12 ოქტომბერს: 11 ოქტომბერს ღამე არ მოსულა ამბები სამხედრო შეტაკებათა შესახებ.

ლონდონი, 11 ოქტომბერი („რეიტერი“). ქ. გულის მოურავმა შემდეგი დეპეშა მიიღო ინგლისის მეფის მდივნის ნოლლისისაგან: „მისმა უდიდებულესობამ მიბრძანა გამოგიცხადოთ, რომ იგი ძლიერ სწუხს ჩრდილოეთის ზღვაში მეთევზეთა ფლოტილიაზე თავდასხმის გამო, რომელსაც არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს. მეფე გთხოვთ იმისი და დედოფლის უგულწრფელესი თანაგრძნობა გადასცეთ დაზარალებულთა ოჯახებს“. მეფემ შესწირა ამ ოჯახებს 200 გინეა.—ბალფურმა გაუგზავნა დეპეშა გულის მოურავს, რომელშიაც არწმუნებს, შეგიძლიათ სრული ნდობა იქონიოთ მთავრობის მიმართო.—მიწათ-მოქმედების მინისტრმა ბუკლინში სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც გამოაცხადა: „ამ ჟამად ყველა ინგლისელთა ფიქრი მეთევზეთა ფლოტილიის თავდასხმაზეა მიქცეულიო, მაგრამ სასურველია, რომ ყველამ, ამ არაჩვეულებრივ შემთხვევის შესახებ საბოლოო აზრის შესადგენათ, ნამდვილ ცნობებს მოუცადოსო. ეს შემთხვევა იმდენად გაუგებარი, იმდენად უცნაურია, რომ ამ მოკლე ხანში უეჭველად უნდა გამოირკვესო. ამ შემთხვევას ისე უნდა უცქიროთ, როგორც უდიდეს შეცდომას. ორატორის აზრით, ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს შემთხვევა მეტად შეაწუხებს რუსეთის იმპერატორს, რომლის გულ-კეთილობას მთელი ქვეყანა იცნობსო“.—მეთევზეთა გემის „მინო“-ს უფროსმა, რომელიც გადარჩენილ მეთევზეთა დეპუტაციასთან ერთად მოვიდა გარეშე საქმეთა სამინისტროში, მოიტანა იმ ყუმბარის ნატეხები, რომელიც იმის გემს მოხვდა.—ბენკენცორფმა მიანდო გაზ. „დეილი ნიუს“-ს, გამოუცხადოს ინგლისის ხალხს შემდეგი: „ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ რაც მოხდა მხოლოდ სამწუხარო შემთხვევაა და სხვა არაფერი. იმაზე ლაპარაკიც მეტია, რომ მთელი რუსეთი, და პირადად მე ვწუხვართ ამ უბედურ შემთხვევის გამო“. გულში სასამართლოს მოხელეებმა დაათვალიერეს გემ „კრენ“-ზე მოკლული ორის მეთევზის გვამი. გამომძიებელმა გამოაცხადა, რუსეთის საელჩოსაგან დეპეშა მივიღე, გვთხოვენ, ნუ დაასაფლავებთ მოკლულთ, სანამ საელჩოსაგან გამოგზავნილი ექიმი არ დაათვალიერებსო. ამასთანავე გამომძიებელმა სთქვა, „მსაჯულებმა არ უნდა იფიქრონ, რომ ამ უწესოებაში ბრალი ბალტიის ესკადრას უდევს, სანამ ამაში საადმირალოდან მიღებულ მოხსენებიდან არ დარწმუნდებიანო. გამოძიება 20 ოქტომბრამდისაა გადადებული.

ხარბინი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). 11 ოქტომბერს მისის უდიდებულესობის ნამესტნიკმა გამოსცა შემდეგი ბრძანება: „ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ისმინა ჩემი შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გავენთავისუფლებინე მთავარ-სარდლის თანამდებობისაგან. მისმა უდიდებულესობამ მანჯურიის პირველ არმიის უფროსი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი დანიშნა მთავარ-სარდლად ყველა იმ ჯარისა, რომელიც შორეულ აღმოსავლეთშია, ხოლო მე დამტოვა ნამესტნიკის თანამდებობაზე. ამასთან ერთად ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და გამაბედნიერა გულწრფელ მადლობის ვამოცხადებით იმ შრომისთვის, რომელიც გავწიე სანამესტნიკოში რაზმების შედგენისა, ჯარის მოგროვებისა და ხელმძღვანელობისათვის. ვუცხადებ რა ასეთ უმაღლესს სურვილს და ხელმწიფის წყალობას შორეულ აღმოსავლეთის ხმელეთისა და ზღვის მხედრობას, საჭიროდ ვთვლი გულწრფელი მადლობა გამოვუცხადო ჩემ ხელ ქვეით მყოფ მამაც ჯარს, რომელიც მონაწილეობას იღებდა სამხედრო მოქმედებაში და რომელმაც თავ-გამოდებულ ბრძოლით მრავალი მაგალითი გვიჩვენა გმირობისა. გულწრფელად ვმადლობ აგრეთვე იმ ნაწილებსაც, რომელთაც ჯერ შემთხვევა არა ჰქონიათ მტერს შებმოდნენ და რომელთაც ამ ძნელ დროში დიდი შრომა გასწიეს. დიდად სასახელოდ მიმაჩნია, რომ ხელმწიფემ განსაკუთრებულის ნდობით დამავალა უმაღლესი ხელმძღვანელობა მამაც ჯარისა, რომელმაც ახალი სახელი შესძინა თავის დროშებს, მრწამს, რომ ღვთის შეწევნით ძლიერ მტერს დავძლევთ მეფის სასახელოდ და საყვარელ სამშობლოს სასარგებლოდ“. ხელი მოაწერა: „გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა.“

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
12 ოქტომბერი

ხარბინი, 12 ოქტომბერი. 9 ოქტომბრის ღამეს პატარა შეტაკებები მოხდა ჩვენსა და იაპონიის მოწინავე რაზმებს შორის. იაპონელები აწუხებდნენ ჩვენ ჯარს, რომელიც რედუტს აგებდა პუტილოვის სოპკაზე. ჩვენმა რაზმებმა დაზვერეს სახეპუ, შემდეგ შეაშფოთეს იაპონელები სოფელ კუდიაზიში და წაართვეს სხვა-და-სხვა მასალა. 10 ოქტომბერს დღისით იაპონელები ყუმბარებს ისროდნენ. იაპონელებმა ამ ბოლო დროს გამართეს აუარებელი სიმაგრეები, თხრილები, ორმოები, მჩხვლეტავი მავთულები და სხვა. ასეთი სიმაგრეები და მოწყობილებანი ნახეს მთიან ადგილებში სოფელ სინდიაპუს სამხრეთით და სოფელ კუდიაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აგრეთვე სოფელ ლამანტუნიდან ჩინლიპუმდე. ამ ადგილებსა და სოფლებში იაპონელებმა თავ-დასაცველი მოწყობილებანი გამართეს.

ბერლინი, 12 ოქტომბერი. მიღებულ ცნობებით, რუსის ჯარი გადავიდა მდინარე შახეს. მოელიან ბრძოლას.

ლონდონი, 12 ოქტომბერი. როგორც ტოკიოდან იუწყებიან, სექტემბრის მეორე ნახევარში ბრძოლის ველიდან მოვიდა 6,000 დაჭრილსა და ავადმყოფზე მეტი; ამათ შორის არიან გენერალი ოგავა და სხვა აფიცრები. იაპონიაში ძალიან მეცადინეობენ თავისუფალ ფლოტის პროექტის პოპულიარიზაციისთვის, მაგრამ შემოწირულებანი სულ არ არის. სამსახურს გარეშე მყოფ აფიცრებს უფლება მიეცათ შეღავათიანის პირობით შევიდნენ ახლად შემდგარ სარეზერვო პოლკებში.

ვიგო, 12 ოქტომბერი. ნახშირის ხუთი გემი დღეს მოვიდა ტენერიფიდან. ღამე ოთხი სხვა გემი აროზაში გაჩერდა. გემები დაიტვირთნენ ნახშირით ბალტიის ესკადრისათვის. მადრიდიდან მოვიდა რუსის მთავარი კონსული. კონსულს თათბირი ჰქონდა მოხელეებთან, ესკადრის მოსვლისა და გაჩერების შესახებ. ესკადრას ყოველ საათს მოელიან. ნახევარი ესკადრა აქ გაჩერდება, ნახევარი აროსაში.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „იტალია მილიტერა“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: სასებოდან 90 სატრანსპორტო გემით 75 ათასი ჯარის კაცი და 200 ზარბაზანი გაგზავნეს მანჯურიაში. მთავრობამ გადაწყვიტა, იაპონიის არმია მანჯურიაში 400 ათას კაცად შევასრულოთო. („ბ. ვ.“).

რუსეთის გზათა მინისტრს თავ. ხილკოვს უთქვამს „მატენ“-ის კორესპონდენტისათვის: არა მგონია, რომ გენ. კუროპატკინს სხვისა ბძანებით გაელაშქროს სამხრეთისაკენ. მართალია საზოგადოებას უკმაყოფილება და ყაყანი გონიერ სარდალსაც კი ჩაადენინებს შეცდომას, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ ხალხის ყაყანს რაიმე გავლენა ჰქონოდეს გენ. კუროპატკინზეო. („ნ. დ.“).

„ჟურნალ“-ის კორესპონდენტი იუწყება: ამბობენ, ჩინეთის მთავრობამ შეატყობინა რუსეთს, თუ იმპერატორის საფლავებს მუკდენში ბრძოლის დროს დაუშავდა რამე, მთელი მანჯურია აღელდებაო. რომ მუკდენში ბრძოლა არ მომხდარიყო, გენ. კუროპატკინმა სამხრეთისაკენ გაილაშქრა და იაპონელებს სხვა ადგილას შეებრძოლაო.

„კენიგ. ცაიტუნგ“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: იაპონელები ბოლოს დროს ძლიერ უშენენ ზარბაზანს პორტ-არტურის ციხეს. იაპონელები ჰაეროსტატებით (ჰაერში მფრინავ ბურთებით) მაღლა ადიან, რუსის პოზიციებს ათვალიერებენ და ტელეფონით ატყობინებენ თავიანთ არტილერიას, რომ უფრო ზედმიწევნით დაუშინონ ზარბაზანი. („რ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: რუსეთმა სამხრეთ ამერიკაში 6 მაშველი კრეისერი იყიდაო. ეს კრეისერები დიდ ოკეანის მეორე ესკადრას შეუერთდებიანო. („ნ. დ“).

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება: ჩინეთის მთავრობამ უბძანა ჩინელ გენერალ ცენჩის, მუკდენის სასახლიდან იმპერატორების ძველი ნივთები პეკინში გამოგზავნეთო. ამბობენ, ჩინეთის მთავრობა ამას წინად შეეკითხა რუსის მოხელეებს, თუ ვინიცობაა მუკდენიდან უკან დახევა მოგიხდათ, შეგიძლიანთ მუკდენის სასახლეები და წმიდა ძველებური ნივთები გაძარცვისა და შეგინებისაგან დაიფაროთო? რუსის მოხელეებმა შეუთვალეს, მაგის პირობას ვერ მოგცემთო. ამიტომ ჩინეთის მთავრობამ შეუთვალა გენერალს ცენჩის, ეგ ნივთები პეკინში გამოგზავნეო. გენ. ცენჩმა სთხოვა გენ. მას, ჯარი გამომიგზავნეთ, რომ ამ ნივთებს გავაყოლოო პეკინამდეო. („ნ.“).

ბრძოლა იანტაისთან და მდ. შახეზე. „ლოკალ ანცაიგერ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: ინგლისელები ამბობენ: გენ. კუროპატკინის პლანი—იაპონელების მარჯვენა ფრთის (კუროკის არმიის) მომწყვდევა და განადგურება—მარცხით გათავდა გალაშქრების დროს რუსის სარდალმა შეცდომა ჩაიდინა: თავისი ცენტრი (შუა ჯარი) და მარჯვენა ფრთა შეასუსტა. მარშალმა ოიამამ მაშინვე ისარგებლა ამ შეცდომით, რუსის ცენტრსა და მარჯვენა ფრთას მედგრად დაეცა და რუსის არმიას ყველგან 34 ვერსტის მანძილზე უკან დაახევინა იაპონელებმა 70 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში, და დიდი ზარალი მისცეს რუსის ჯარს. პრინც კანინის გაბედულმა იერიშმა დიდ აღტაცებაში მოიყვანა ინგლისელები. გენ. კუროპატკინს დიდი ჯარი და არტილერია ჰყავდა ამ ბრძოლის დროს და მარცხენა ფრთაზე ხომ გაცილებით მეტი ჰყავდა, ვიდრე გენ. კუროკის. ლონდონში ძლიერ მოსწონთ მარშალ ოიამას მოხერხებული სტრატეგია და ჰფიქრობენ, რუსის ჯარის მარცხი დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მთელ აღმოსავლეთ აზიაზეო. („ნ. დ.“).

„სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: რუსის ჯარმა იანტაიდან ყველგან უკან დაიხია. რუსებმა ექვსის დღის განმავლობაში თექვსმეტ-ჯერ მიიტანეს იერიში, მაგრამ იაპონელებმა ყველგან მოიგერიეს. იაპონიის ჯარს ამ ბრძოლის დროს 12 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს, მაგრამ რუსებს გაცილებით მეტი ზარალი მოუვიდოდათ. 29 სექტემბერს ღამით რუსებმა სამჯერ ზედი ზედ მიიტანეს იერიში ერთ სოფელზე, 3500 კაცი დააკლდათ მოკლული და დაჭრილი და სოფელი მაინც ისევ იაპონელების ხელში დარჩა. ერთგან მაგარ პოზიციაზე 60 იაპონელი სალდათი იდგა. რუსებმა ორის ბატალიონით (2 ათასი კაცით) მიიტანეს იერიში, სრული ოთხი საათი ცდილობდნენ პოზიციის აღებას, მაგრამ იაპონელებმა ისე საშინლად დაუშინეს ზარბაზანი, რომ 2 ბატალიონიდან 100 კაცზე მეტი აღარ დარჩა. რუსები მაინც ავიდნენ პოზიციაზე; გაიმართა ხელ-ჩართული ბრძოლა და ორის ბატალიონიდან 10 კაცი ძლივს გადარჩა. („კ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ის პარიზელი კორესპონდენტი სწერს: რუსის მარჯვენა ფრთაზე გენ. ოკუს წინააღმდეგ 4 რუსის კორპუსი იბრძოდა გენ. ბილდერლინგის უფროსობით. ყველაზე დიდი ზარალი მე-17 კორპუსს მოუვიდა. ბილდერლინგის არტილერიას გენ. გრიბუნინი უფროსობდა. მე-3 არტილერიის ბრიგადას (ბრიგადაში 48 ზარბაზანია) ყველა ზარბაზანი წაართვეს და ყველა არტილერისტი მოუკლეს და დაუჭრეს. ტომსკისა და ტამბოვის პოლკები მთლად გაწყვიტეს. ნოვოჩერკასკის პოლკიც ძალზე დაზარალეს. იანტაის ახლო ბუდას ეკლესიასთან 1,500 მოკლული რუსი გდია დაუმარხავი. ამ ეკლესიასთან იაპონელებმა რუსებს არტილერია წაართვეს, წართმეული ზარბაზნები თითონ რუსის ჯარს დაუშინეს და მთელი როტები გაუწყვიტეს. გენ. ბილდერლინგმა რომ უკან დაიხია, ვიბორგის პოლკი მამაცად იბრძოდა და კვალ-და-კვალ მომავალ იაპონელებს აჩერებდა. ამ პოლკს აფიცრების ნახევარი მოუკლეს და დაუჭრეს. („ნ.“).

მარშალი ოიამა იუწყებოდა: 30 სექტემბრამდე იაპონელების სამივე არმიამ 8550 მეტი მოკლული რუსი დაასაფლავაო. აქ 1 და 2 ოქტომბერს ბრძოლის დროს მოკლულნი არაა ნაანგარიშები; იქნება ბრძოლის ველზე კიდევ ბევრი მოკლული რუსი ვიპოვოთო. („ნ.“).

2 ოქტომბერს გენ. ნოძუს არმია მდ. შახემდე მივიდა და მუკდენ-ბანიუპუზას გზის პირად დადგა. იმავ საღამოს გენ. იამადას ბრიგადამ (ორმა პოლკმა) ამავ გზის პირად ერთ მაღალ გორიდან ორი რუსის პოლკი განდევნა, ერთი ზარბაზანი ჩაიგდო ხელში და გორა თითონ დაიჭირა. ეს გორა მუკდენის გზის პირად დევს და იაპონელების ხელში რომ დარჩენილიყო, რუსის აღმოსავლეთის რაზმს (კუროკის წინააღმდეგ რომ იბრძოდა) მუკდენისაკენ უკან დახევა გაუჭირდებოდა. ამიტომ გენ. კუროპატკინმა უბძანა გენ. პუტილოვს, ეგ გორა უკან დაიბრუნეთო და 6 რუსის პოლკი გაგზავნა ამ გორის ასაღებად, ასე რომ გენ. იამადას ბრიგადას (ორ პოლკს) 6 რუსის პოლკი დაეცა: ციმბირის მსროლელთა მე-36 და მე-19, სემიპალატინსკისა, პეტროვსკისა, ვილმანსტრანდისა და ნეიშლოტისა. ამ 6 პოლკმა გორა აიღო და 6 საველე, 5 სამთო ზარბაზანი და 1 ტყვიის მტყორცნელი ჩაიგდო ხელში. ამ გორაზე ერთი ხე დგას, ამიტომ რუსები „ხიან გორას“ ეძახდნენ და მერე გენ. პუტილოვის პატივსაცემლად „პუტილოვის გორა“ დაარქვეს სახელად. („რ ს.“).

„ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი იუწყება: რუსის მე-36 პოლკს ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა უკან დაახევინეს გორიდან, მაგრამ მე-19 და მე-20 პოლკები ხელად მიეშველნენ და პოლკი უკან დააბრუნესო... გამწვავებული ხელჩართული ბრძოლა მოხდა. მე ჩემის თვალით ვნახე, რომ ერთ იაპონელს 50-ჯერ ჰქონდა დაკრული შტიკიო...

ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით ატყობინებს „რუსკოე სლოვო“-ს: ხიან გორაზე მოკლულ იაპონელებს მშვენიერი ტანისამოსი და ფეხსაცმელი ეცვათ. ზედ ბევრი საგზალი ჰქონ-

დათ. უნტერ-აფიცრებს სამაჯურებზე კომპასები ჰქონდათ გაკეთებული... მე-36 პოლკი ამ იერიშის დროს სულ დაილია და უკან წავიდა, ზოგიერთ როტაში 20 კაცი-ღა დარჩა...

„ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი იუწყება: 3 ოქტომბერს რუსებს „ხიან გორაზე“ 4 ათასი კაცი დააკლდათ მოკლული და დაჭრილიო. („რ.“).

ინგლისური გაზეთები სწერენ: „ხიან გორის“ ალებასა და გენ. იამადას ბრიგადის (ორის პოლკის) მარცხს მცირე მნიშვნელობა აქვსო. ეს ბრძოლა მაგდენ ყურადღების ღირსი არააო. („რ. ლ.“).

„ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, „ხიან გორის“ ალების დროს რუსის ჯარს დიდი ზარალი მოუვიდოდაო. ამ გორის ალებამ არაფერი გავლენა არ იქონია რუსისა და იაპონიის ჯარის მდგომარეობაზე. ორივე ჯარი ისევ იმ ადგილებსა და პოზიციებზე დგას, როგორც 2 ოქტომბრამდე იდგა. რუსის ჯარს ამ გორის ალებით სულაც არ „გაურღვევია იაპონელების ცენტრი“, როგორც ზოგსა ჰგონიაო. („ნ. დ.“).

გენ. კუროკი იუწყება: რუსის აღმოსავლეთის რაზმს, ჩემს წინააღმდეგ რომ იბრძოდა, 20 ათასი მოკლული და დაჭრილი კაცი დააკლდებოდაო.

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იუწყება: რუსის მარჯვენა ფრთაზე (გენ. ოკუს პირდაპირ) ბრიგადის უფროსი რუსის გენ. ზაშჩუკი მოჰკლესო. გენ. ზაშჩუკის ბრიგადას (ორ პოლკს) სალდათების ნახევარი და აფიცრების სამი მეოთხედი მოუკლეს და დაუჭრესო. („ნ. დ.“).

გაზეთებმა სწორედ არ იციან, რამდენი ჯარი ჰყავდათ ამ ბრძოლის დროს გენ. კუროპატკინსა და მარშალ ოიამას. უმეტესობა ამტკიცებს, თანასწორად ჰყავდათო, ეგაა ზოგიერთი რუსის კორესპონდენტი, მაგალითად, ბ. ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს, იაპონელებს ეხლა 400 ათასი კაცი მაინც ჰყავდათო, რუსებს გაცილებით ნაკლებიო. „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. კ. სწერს: ამ ბოლოს დროს მეტად თავისუფლად ექცევიან ციფირებს; მაგალითად ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო ამას წინად სწერდა, იაპონელებს 150 ათასი კაცი ეყოლებათო, ეხლა-კი ბეჯითად ამტკიცებს, სულ მცირედ 400 ათასი კაცი ჰყავდათ უკანასკნელ ბრძოლის დროსაო. („ნ. დ.“).

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. „რუსკი ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ. რუსისა და იაპონიის ფლოტს ერთმანეთს უდარებს. ბ-ნი ვ. მ სწერს: „სულ ადმირალ როჟდესტვენსკის 7 ჯავშნიანი გემი, 7 კრეისერი, 1 იახტა, 6 ტრანსპორტი და 9 ნაღმიანი გემი მიჰყავს თანა; ატლანტიის ოკეანესა და ხმელთა შუა ზღვაში კიდევ 5 მაშველი კრეისერი და 1 საავადმყოფო გემი მოემატება და ადმ. როჟდესტვენსკის სულ 36 გემი ეყოლება.

ვნახოთ ეხლა, რამდენი გემი ჰყავთ იაპონელებს. 28 ივლისს ვეიხავეისთანა და 1 აგვისტოს ფუზანთან მომხდარმა ბრძოლამ დაამტკიცა, რომ ის ცნობები, ვითომ იაპონელებს ბევრი გემი დაჰღუპოდეთ, სულ ტყუილი ყოფილა· იაპონელებს ამ ომის დროს სულ 1 საესკადრო გემი („ხაცუზე“), 1 კანონირი გემი, ანუ სანაპირო ჯავშნიანი გემი („ხეიენი“), 1 პალუბა ჯავშნიანი კრეისერი („იოშინო“), 1 გასაგზავნ-გამოსაგზავნი გემი („მიიაკო“) და 1 ძველი ხის კრეისერი („კაიმონი“) დაეღუპათ. დაზიანებული ჯავშნიანი გემი „იაშიმა“, კრეისერები „იცუკუშიმა“ და „ჩიოდა“ ეხლა, უეჭველია, შეკეთებული იქნება; „იაშიმა“-მ ხომ 28 ივლისს ბრძოლაშიაც მიიღო მონაწილეობა. ასე რომ ეხლა იაპონელებს 6 საესკადრო ჯავშნიანი გემი (ამათგან 1 მეორე რანგისაა) ჰყავთ, 9 ჯავშნიანი კრეისერი (ამათგან 1 მეორე რანგისაა), 18 პალუბა ჯავშნიანი კრეისერი (ამათგან 6 დიდია) და 5 ზღვის ნაპირის დამცველი ჯავშნიანი გემი, სულ 38 ჯავშნით შემოსილი გემი ჰყავთ. რუსებს ჰყავთ: დიდ-ოკეანის მეორე ესკადრაში 14 ჯავშნით შემოსილი გემი, პორტ-არტურის ესკადრაში 10 ჯავშნით შემოსილი გემი (აქ 3 კანონირი გემიცაა ჩათვლილი) და 3 ვლადივოსტოკის კრეისერი, ასე რომ რუსებს სულ 27 ჯავშნით შემოსილი გემი ჰყავთ. აქედან სჩანს, რომ გინდ ადმ. როჟდესტვენსკის ესკადრაც ჩავიდეს შორეულ აღმოსავლეთს, იაპონელებს მაინც 11 გემი მეტი ეყოლებათ რუსებზე. მაგრამ იაპონელებს პალუბა ჯავშნიანი კრეისერები და ნაპირის დამცველი ჯავშნიანი გემები ჰყავთ მეტი, ისეთი გემები, რომლებიც ბრძოლის დროს დიდ როლს როდი თამაშობენ. საესკადრო ჯავშნიანი გემები და ჯავშნიანი კრეისერები კი იაპონელებს სულ 13 (5 ჯავშნიანი გემი და 8 კრეისერი) ჰყავთ, რუსებს-კი 13 (10 ჯავშნიანი გემი და 3 ჯავშნიანი კრეისერი, აქ „სისოი“ და „ნავარინი“ არაა ნაანგარიშები). აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ იაპონელების ჯავშნიან გემ „მიკაზა“-ს თითონ რუსის მეზღვაურებიც საუკეთესო გემად სთვლიან მთელს ქვეყნიერობაზე. „მიკაზა“ (ადმ. ტოგო ამ გემზე ზის) რუსის საუკეთესო ჯავშნიან გემ „ბოროდინო“-ზეც ძლიერია. ეხლა ვნახოთ, რამდენი ზარბაზანი აქვს ორსავე ფლოტს. რუსის ფლოტს (ჯავშნით შემოსილ გემებს) 48 ათ-თორმეტ დიუიმიანი ზარბაზანი აქვს, 13—რვა-ცხრა დიუიმიანი 234 ექვს-შვიდ დიუმიანი, 22 ოთხ-ხუთ დიუმიანი, 306 სამ-სამნახევრიანი, სულ 623 ზარბაზანი აქვს. იაპონიის ფლოტს აქვს: 25 ათ-თორმეტ დიუმიანი ზარბაზანი, 41 რვა-ცხრა დიუიმიანი, 243 ექვს-შვიდ დიუიმიანი, 113 ოთხ-ხუთ-დიუმიანი, 260 სამ-სამ ნახევარ დიუიმიანი, სულ 682 ზარბაზანი აქვს. იაპონიის ფლოტის არტილერია 59 ზარბაზანით სჭარბობს რუსისას; ასე რომ იაპონიის ფლოტის არტილერია ბევრით ვერა სჯობნის რუსისას, თითქმის თანასწორი ძალა აქვთ, ეგაა ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრა უსათუოდ უნდა შეუერთდეს პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრას, თორემ უამისოდ ბრძოლას ვერ შეიძლებს იაპონელებთან. ნაღმიანი გემები იაპონიას გაცილებით მეტი ჰყავს რუსებზე, მაგრამ ამ გემებს დიდი მნიშვნელობა არა აქვთ ბრძოლის დროს.“ („რ. ვ.“).

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს ომში მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სიას:

26 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე: მოკლულ იქნენ: პოლკოვნიკი—კრიშტოპენკო; პოდპოლკოვნიკები—კურიშკინი, შჩერბაკოვი, კრასნოლენსკი და ზანდროვი; კაპიტნები—რიუმინსკი, იასკლოვსკი, სკოვოროდოვი, გოსევსკი, მაკაროვი, სტაროდუბცევი, შვარევი, უტკინი, მიხეევი და პოპოვი; შტაბს-კაპიტნები—კრიშმოპენკო, სტრიჟევსკი და იურიევი; პორუჩიკები—ტკაჩენკო, გიპლერი, მიაგკი, ზუზნეცოვი, ეგოროვი, შენპინგი და კოტლიაროვი; პოდპორუჩიკები—სმირნოვი, კრასნოვიდოვი, ოლეხნოვიჩი, სტეპანოვი, ვასილჩენკო, მიუროვიცკი და ნოვოგოროდცევი; ზაურიად-პრაპორშჩიკები—ემერიკინი, ნოტარინი და მედვედევი.

დაიჭრნენ: გენერალ-მაიორი—დანილოვი; პოლკოვნიკები—პოდვალნიუკი, როსისკი და დობროტინი; პოდპოლკოვნიკები—ვლადიმირსკი, კლიმანი, გრანიჩევი, გარნიცკი, ტოროვი, აბჟელედიანი (იასონ ალექსანდრეს ძე, ბარნაულის მე-12 პოლკისა), კრიუჩკოვი, მუხარსკი, პობოევსკი და მატოვი; კაპიტნები—სტრახოვი, ოსიპოვი, ზუბინინი, ივანოვსკი, შერომსკი, დლუჟნევსკი, გოლიშევი, ვოლიანსკი, ეფიმოვი, ტოლბოზინი, სოკოლოვი, კრინიცკი, ვესელოვსკი, კოზიცკი, ზომინი, სლიუჩანოვსკი, დმიტრევი, სტეფანოვიჩი, მინერვინი, პალისი, დმიტრიევი, ივანოვი, ზინჩენკო, ივანოვი, ბელოუსოვი, სტეპანსკი, დიბენკო, გოლიკოვი, პეტროპავლოვსკი და ვასილიევი; შტაბს-კაპიტნები—სვიატოპოლკ-მირსკი, პრევიშ-კვინტო, გორბანენკო, მუდროვიჩი, კარპოვი, ვისილიევი, ელჩინი, დრუჟინინი, ავერკიევი, ტიჩინსკი, ჩერნომორცევი, დანჩენკო, მაევსკი, კლეჩოვი, სავინი, ბაზილევსკი, ჟუზლოვი, შტანკოვი, სტასევსკი, ბურიხინი, მალიკოვი, ეფრემოვი, სიმაკოვი, ივანოვი და დურაკოვსკი; პორუჩიკები—კლიმაშევსკი, ლიხაჩოვი, ვიდმანი, პიროჟნიკოვი, ბლაუ, სნაროვსკი, ზბოროვსკი, ალექსეევი, ვარშავეცი, ლეაშჩიკი, ბიკანი, ბილიუმი, პოლიაკოვი, გუმერმანი, აქსენტიევი, ალექსანდროვი, მატიუშკინი, ნაზარევსკი, რილოვი და შეისტრუისკი; პოდპორუჩიკები—ალექსეევი, ხოშკოვსკი, ნავოევი, ჩარტორიჟსკი, ტანკოვი, გრიშკევიჩი, ორლოვი, რებრიკი, გუნერი, პისარევი, ივანოვი, ნიკიტინი, გრამსი, კაგანინი, კოჩერჟინსკი, ტურკოვსკი, ბოლდენკოვი, კლიუჩანსკი, შარინენკო, ლავროვი, ანტონოვი, სოლოვიევი, დესნიცკი, მარიინი, ლუნდი, უშაკოვი, კორჩინსკი, ლობისევიჩი, მინევრინი, ვატელი, კარპაჩევი, ფედოტოვი და იანჩევსკი; პრაპორშჩიკები—ნეკრასოვი, დალინენკო, მიხნო, ეზრჩუკი, ვინოგრადოვი, ლუკოიანოვი, კოჩერგინი, ბუკინი, როსოვიჩი, კეიპანი, დობრინი, ეფიმოვი, კოჟევი, გუცკო, ლენარტოვიჩი, დოლგოდვოროვი, პოლოჩანინოვი, კისელევი, პეტროვი, პლატონოვი, ზახერმანი, კოზელსკი, ივანოვი, შიშკო, სუვოროვი, ხუდიაკოვი, ფედორენჩიკი და გერმანი; ხორუნჟი—თავადი ჭავჭავაძე (დავით ზაქარიას ძე, დაღესტნის ცხენოსანთა მეორე პოლკისა) და კორნეტი სივერსი.

ბრძოლის ველზე დარჩნენ: პოდპოლკოვნიკი—სტანისლავსკი; შტაბს-კაპიტანი—ტარნოვსკი; პორუჩიკები—ქილინი, მალინინი, იარჩენკო; პოდპორუჩიკი—კამიშნიკოვი და ზაურიად-პრაპორშჩიკი მადეი.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 13 ოქტომბერს, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი **ქართულ თეატრის დამაარსებელის გიორგი ერისთავის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ დრამატიულ და წერა-კითხვის საზოგადოება და გამგეობის წევრნი, არტისტები, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი და სხვანი.

◆ ოფიციალურის ცნობით, 10 ოქტომბერს **ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 4,** გარდაცვლილა 1 კაცი.

◆ 12 ოქტომბერს მოხდა სხდომა ტფილისის **სასანიტარო კომისიისა.** რადგან ხოლერა მისუსტდა, კომისიაში ლაპარაკი ჩამოვარდა მოქმედების შეჩერების შესახებ. წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ამისა, რადგან სპარსეთში ეხლაც მძინვარებს ხოლერა და შესაძლებელია გაზაფხულზე გადმოვიდეს ჩვენსკენ. ხოლო რადგანაც მოსამსახურე პირთა სრულ შტატისათვის კრედიტი არა გვაქვს, შტატი უნდა შევამციროთ, რომ ის ფული, სულ 3000 მანეთამდე, რომელიც ხარჯებს გადაგვრჩა, მცირე შტატის შენახვას მოვანდომოთო. კომისიამ შემდეგ დაადგინა შეამციროს შტატი. ამისთვის უნდა გააუქმოს თანამდებობანი სასანიტარო ექიმებისა, დარაჯებისა და სხვა მოსამსახურეთა. დაქირავებული იქნება 4 ექიმი თვეში 50 მან. ეს ექიმები დაეხმარებიან უბნის ექიმებს ავადმყოფების მიღებასა და წამლობის საქმეში; უბნის ექიმებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქალაქის სანიტარულ მხარეს.

◆ როგორც ვწერდით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაამტკიცა წესდება **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა.** საქმის მეთაურთ ამ დღეებში დამტკიცებული წესდებაც მიიღეს და შეუდგნენ მზადებას მოქმედების დასაწყებად. ამ ცოტა ხანში მოხდება პირველი საზოგადო კრება. კრება დილით იქნება, ხოლო საღამოთი გაიმართება საოპერო წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალიც გადაიდება საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად. დაიდგმება როსინის ოპერა „სევილიელი დალაქი“. უმთავრესი როლები უკვე დანაწილებულია. დონ-ბაზილიოს პარტიას შეასრულებს ი. აგასოვი, როზინასას—ე. მიტკევიჩის ქალი, ფიგაროსას—ა. ყანჩელი, გრაფ ალმავივასას—ა. რჩეულიშვილი და ბარტოლოსას ვ. ა. აბაშიძე. კრება გამგეობის ასარჩევად მოხდება ნოემბრის შუა რიცხვებში.

◆ როგორც ვწერდით, ტფილისის გუბერნიაში სოფლის საზოგადოებების ნაცვლად **არსდება ვოლოსტები.** ტფილისის მაზრა გაჰყვეს 16 ვოლოსტად. პირველ მომრიგებელ შუამავლის ნაწილში (მომრ. შუამავ. თავ. ა. ზ. ჩოლაყაშვილი) 6 ვოლოსტი, მეორეში (თავ. ზ. ნ. სიდამონოვ ერისთავი)—9 და მესამეში (ბურნაშოვი)—1 ვოლოსტი.

◆ 12 ოქტომბერს პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდა **მიწათ მოქმედების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი** თავ. მასალსკი და იმ დღესვე, საღამოთი, გაემგზავრა ერევანს, სადაც იგი დანიშნულია მებაღეთა კრების თავჯდომარედ. თავ. მასალსკისთან ერთად ერევანს ამავე დღეს წავიდა მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი.

◆ როგორც გვატყობინებენ, 11 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე, ვიღაც **თოფებით შეიარაღებულ ექვს კაცს გაუძარცვავთ** ლანჩხუთისა და ჯუმათის სადგურებ შუა გზის ოთხი დარაჯი. ერთი დარაჯი ხანჯლით დაუჭრიათ. ბოქაულს ჟანდარმებთან ერთად ოთხი კაცი დაუჭერია სოფელ ჩიბათის ტყეში.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას **მუხრანის ხიდის** გასაკეთებლად სხვა-და-სხვა პირთაგან მოუვიდა 4 პროექტი. ქალაქის გამგეობამ ამ პროექტების განსახილველად დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებადაც მიიწვია კავკასიის სატეხნიკო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ინჟენერი ს. ფ. ნოვომეისკი და ამიერ კავკასიის რკინის გზის ინჟენრები ტ. ი. აკორონკი, ლ. ტ. კაირანსკი, ე. დ. ვურცელი და სამხედრო ინჟინერი შლიტერი.

◆ 12 ოქტომბერს, დილის რვა საათზე, ბათუმში, როგორც „ნოვ. ობ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, **დაუჭრიათ ბოქაული ფილიმონოვი.** დამნაშავე დამალულა.

◆ როგორც ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, იქ ამ ჟამად გაჩენილა **ყაჩაღთა ბრბო,** რომელსაც საერობო დარაჯთა რაზმთან უკვე შეტაკებაც ჰქონია.

◆ სად. სუფსა. 10 ოქტომბერს, საღამოს 7 საათსა და 40 წუთზე, სუფსასა და ნატანებს შუა, როდესაც საქონლის მატარებელი № 22 გაჩერებულა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ცულით დაუღეწიათ ორი ვაგონი და გადმოუყრიათ 35 ყუთი ასანთი. 16 ყუთი იქვე ახლო ნახეს, დანარჩენი არა სჩანს. გამოძიება სწარმოებს.

◆ ამ დღეებში გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შეიძინოს ქალაქმა სახელმწიფო ხაზინის მიერ გამოცემული ახალი ბილეთები. ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაავალოს უფროს ბუხჰალტერს მოახსენოს, რომელი თანხა შეიძლება მოიხმაროს ქალაქმა ახლად გამოცემულ ბილეთების შესაძენად.

◆ ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსმა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ გზატკეცილი გაიყვანონ ამ საავადმყოფოდან კახეთის გზატკეცილამდის, რადგან გაძნელებულია ამ გზაზე სიარული.

◆ დღეს, 14 ოქტომბრისათვის, დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა, ტეხნიკოსს და იურისტთა ხმოსნებისა და განსაკუთრებულ კომისიისა. სხდომაზე უნდა გადაათვალიერონ პროექტი თავ. ჩოლოყაშვილთან დასადებ ხელშეკრულ ბისა გაზის ქარხნის გამართვის შესახებ ქალაქშ

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის მოად თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის წინადადებით, ქა გამგეობამ 180 მან. მოუმატა სავაჭრო-სამეუ პოლიციის უფროსს აგენტის ბ. ს. ბაბოვის გირს.

◆ ი. აბესალომოვის სახელობის სტიპენდია ლაქის გამგეობამ დაუნიშნა ლიუსიკ ტერ-სტეფანო ვისას.

—

დღევანდელ ნომერთან ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 261.**

ფელეტონი

წერილები პარიზიდან

წერილი XI

ემილ ზოლას გადაცვალების ორის წლის თავი

ვინც 2 დვინობისთვეს პარიზში ემილ ზოლას გადაცვალების ორის წლის თავს დაესწრო, თამამად შეუძლია სთქვას, რომ დიდებული მიცვალებული უკვდავი და მარადჟამ ნეტარსახსენებელია მისთა ურიცხვ თაყვანისმცემელთა ხსოვნაში. ზოლას სახელის მოგონება ფრანგთ კულტად გადაქცეათ, ხოლო მისი საფლავი—მეორე მექად, სადაც მართლმორწმუნენი, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ყოველ წელიწადს მოსალოცავად დადიან·

ან რა გასაკვირველია, ასეთი მოწიწებით, უმადლესის სასოებით აღსავსე პატივი სცენ იმ მწერალს, რომელმაც მსოფლიო დიდებით შემოსა თავისი სახელი და რომელმაც ამ დიდების ნაწილი თავისს სამშობლო მხარესაც არგუნა! საფრანგეთში იშვიათია მწერალი, რომ ემილ ზოლასავით გამოეთქვას თავისს ნაწერებში მწუხარება და ტანჯვა მშრომელის ხალხისა, ღარიბ დატაკთა; იშვიათია მწერალი, რომ ზოლასავით დაეგმოს თანამედროვე საზოგადოებაში გამეფებული უსამართლობა, რომლის მსხვერპლად დღე ყოველი და ჟამსა ყოველსა მუშა ხალხი ხდება. იშვიათია მწერალი, რომ ზოლასავით თავგამოდებით გამოქომაგებოდეს ჩაგრულთა, აღენიშნოს უსამართლობა და მისის მსგავსის გაბედულობით მოეთხოვოს ამ უსამართლობების აღმოფხვრა და მის წილ გამეფება სამართლიანობისა, ძმობისა და სიყვარულისა. დასასრულ, მხოლოდ ზოლას ნიჭისა, კეთილშობილებისა და გამბედაობის პატრონ კაცს შეეძლო ისეთი მედგარი ომი გამოეცხადებინა თანამედროვე საფრანგეთის მტრის—კლერიკალისმისათვის. ზოლავე ამხედრდა საკვირველის გაშკაცობით ანტისემიტისმის წინააღმდეგ და საზოგადოება ამხილა, უფსკრულისკენ მიმავალს სწორი გზა უჩვენა, გზა სამართლიანობისა და საერთაშორისო ძმობისა. ზოლა, მისის გონების ნამოქმედარი, მისი სამოქალაქო მაგალითი გაშკაცობისა (დრეიფუსის საქმე) შთამომავლობის წინ დგას ვითარცა სალი კლდე. უძლეველი და მიუდგომელი, ვითარცა კანდელი სიბნელის გამფანტველი და გზის მაჩვენებელი, მაჩვენებელი იმ გზისა, სანატრელის მომავლისაკენ, საერთო ბედნიერებისა და სიმართლისაკენ რომ მიჰყავს ადამიანი.

ემილ ზოლა გარდაიცვალა 1902 წლის 29 ენკენისთვეს და მას აქეთ ყოველ წლის თავზე პარიზელნი და განსაკუთრებით მუშები, რომელთა სიყვარულით ესდენ სავსე იყო გული ზოლასი, სასოებით იგონებენ დიდებულ მიცვალებულს. მართავენ მანიფესტაციებს, საღამოებს, მიდიან მისს საფლავზე, რათა დაამტკიცონ, რომ დიდებულის მოძღვრის სიტყვებმა ნაყოფი გამოიღეს, რომ მისი ნატვრა ხორციელდება, საზოგადოებაში თვითშემეცნება იზრდება, ქვეყანაზე სამართლიანობა მეარდება...

ამ ყოველ წლიურ მოხსენებას ხელმძღვანელობს პარიზის „ლიგა ადამიანის უფლებათა“, რომელ უფლებათათვის ზოლა მთელი თავისი სიცოცხლე დაუცხრომლად იბრძოდა.

მოხსენება იწყება იმით, რომ 29 ენკენისთვეს ზოლას მახლობელნი მეგობარნი და პატივისცემელნი მიდიან პარიზის მახლობლად სოფ. მედანში, სადაც სცხოვრობდა ემილ ზოლა. მედანში ზოლამ 1878 წ. შეიძინა სახლი, რათა სოფლის მყუდროებაში, ბუნებასთან დახლოვებულს უფრო თავისუფლად და ნაყოფიერად ემუშავნა. პირველად მისი სახლი პატარა იყო და პაწაწინა ბაღში მოთავსებულს გლეხურ სახლის სახე ჰქონდა, შემდეგში ახალმა პატრონმა ამ სახლს ბევრი რამ მოუმატა, მაგრამ პირველი სახე მაინც შეარჩინა. 1880 წელს ზოლას დედა სწორედ ამ სახლში მოუკვდა და, რადგან სახლს ვიწრო კიბე ჰქონდა, კუბო სარკმლიდან გამოასვენეს. და ამ დღიდან მოკიდებული დიდებული რომანისტი ამ სარკმელს ყოველთვის სევდიანად შეხედავდა ხოლმე და თან თავის თავს ჰკითხავდა—ამ სარკმლიდან პირველად მე გამასვენებენ, თუ ჩემს ცოლსაო?

უმეტესი ნაწილი თავისის რომანებისა ზოლამ „პრომუარის“ შემდეგ მედანში დასწერა. მისი სამუშაო ოთახი უზარმაზარი და უხვად განათებული იყო სარკმლებით. ერთს კედელში უზარმაზარივე ბუხარი ჰქონდა გაკეთებული და ზედაც ოქროს ასოებით ეწერა ლათინურად: Nulla dies sine linea (დღე ისე არ უნდა გავიდეს, რომ ერთი სტრიქონი მაინც არ დავსწერო). ეს იყო მისი დევიზი და მტკიცედ მისდევდა მისს ასრულებას. ზოლა ყოველთვის დილაობით სწერდა შუადღემდის. მაგრამ ნაშუადღევიდან-კი ნამდვილ სოფლელად იქცეოდა ხოლმე, მისთვის მხოლოდ ბუნება არსებობდა, მას შეტრფოდა, მისს მშვენებას ემონებოდა სულითა და ხორცით, სავსებით, უყვარდა ნავით სეირნობა, მენავეობა. და ამ მენავეობის დროს ჰკრებდა ცოცხალ და ნაზ სურათებს მდინარისას, იმ სურათებს, მისს თხზულება „Oeuvre“-ში ასე უხვად რომ არის გაბნეული. გატაცებით უყვარდა თამაშობა ბილიარდზე. მერე მის სათაყვანო გასართობად ბიციკლეტით სეირნობა შეიქმნა. უკანასკნელ ხანებში საშინლად გაიტაცა ფოტოგრაფიამ.

მეგობრები ხშირად მოსდიოდა მედანში. გამოჩენილი მწერალი საფრანგეთისა ფლობერი, ტურგენევი, ედმონ გონკური, მოპასანი, ალფონს დოდე—მისი ხშირი სტუმრები იყვნენ. ბოლოს დროს ხშირად იყრიდნენ მასთან თავს მისნი თანამშრომელნი დრეიფუსის საქმეში.

სწორეთ ამ მედანიდან დაბრუნდა ზოლა 1902 წლის 29 ენკენისთვეს პარიზში. დაუღალავი მწერალი „სიმართლისა“ („ცნობ. ფურცლის“ დამატებაში დაბეჭდილია) უნდა შესდგომოდა „სამართლიანობის“ წერას. არ აკლდა სიმართლე, არ აკლდა სიცოცხლე, რომ განზრახული შრომა დიდებულად შეესრულებინა. მაგრამ სწორედ ამ დროს გახდა მსხვერპლი ბრმა მარცხისა. მეორე დღეს დიადი იყო გაოცება მის ერთგულ და დიდის ხნის მოსამსახურის ჟულისა, როცა თავისი ზოლა ჩვეულებრივ საათზე ფეხზე ვერ დაინახა. შეშინებული მის ოთახისაკენ გაექანა, სადაც მოელოდა საზარელის სურათის დანახვა: ზოლა და მისი მეუღლე უგრძნოდ გაშხლართულნი დახვდნენ. საჩქაროზე მოწვეულმა ექიმებმა ცოლი მოასულიერეს, მაგრამ „ჟერმინალის“ ავტორს ვეღარაფერი უშველა: გაფუჭებულ ღუმელიდან გამოსულ ნახშირის სუნს 63 წლის დიდებული რომანისტი სამუდამოდ გამოესალმებინა წუთისოფლისათვის—პარიზის დემოკრატიამ, ზოლას მიერ ასე ზედმიწევნით დახატულმა უკანასკნელად გააცილა და სალამი მისცა მონმარტრის სასაფლაოზე თავისს სათაყვანო რომანისტს. დასაფლავებაზე დაესწრნენ სწავლა-განათლების მინისტრი შომიე, საფრანგეთის მთავრობის სახელით, ცნობილი მწერალი ანატოლ ფრანსი, რომელთაც სიტყვა წარმოსთქვეს, და სხვა დიდებულნი საფრანგეთისა. განსვენება სადა, გარნა დიადი და დაუვიწყარი იყო.

ამავე მედანიდან იწყებენ ფრანგნი დაუვიწყარ რომანისტის ყოველ წლიურ მოგონებას. წლეულ 29 ენკენისთვეს პარიზიდან ორასზე მეტი კაცი გაემგზავრა ზოლას სახლში, სადაც მოსულთ დაუხვდა ქვრივი მიცვალებულისა. მოსულნი ზოლას სამუშაო დარბაზში იყრიან თავს; შუაში დგას ბიუსტი მწერლისა, რომლის გარემო გროვდებიან მეგობარნი და ძვირფას კაცის მოღვაწეობის დახასიათებას კისრულობენ; ესა თუ ის არტისტი შესაფერ ლექსს, მწერლის პირადობის გამომხატველს, კითხულობს და საღამოზე ყველანი უთხოვებიან სახლს, რომელიც ყველას იმდენ ძვირფას რასმე აგონებს და თვალწინ უყენებს.

რაკი 29 ენკენისთვე წლეულ სადა დღეს მოხდა და მუშა ხალხს მოხსენებაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო, საერთო მოხსენება კვირისათვის, 2 დვინობისთვეს, იყო გადადებული.

მანამდე კი, 1 დვინობისთვეს, „ადამიანის უფლებათა ლიგამ“ ტროკადეროში გამართა საღამო ზოლას სახელის პატივსაცემლად. სადღესასწაულო დარბაზი ტროკადეროსი პირთამდე სავსე იყო ხალხით. საღამოზე წაკითხულ იქმნა წერილი ანატოლ ფრანსისა, რომელიც აქებდა დიდებულ მწერალს იმ სამოქალაქო გამბედაობისათვის, რომელიც მან დრეიფუსის საქმეში გამოიჩინა, იმ ბრძოლისათვის, რომელიც ზოლამ თანამედროვე უსამართლობას გამოუცხადა თავისის შესანიშნავის წერილით „J'accuse“ („ვა ტყუნებ“). თითქმის ამავე შინაარსის სიტყვა წ

შინაარსი: „მონები“, ჯერომ კ. ჯერომისა, თარგმ. შალვა დადიანისა, სხვა და სხვა ამბები; სურათები: ქანდაკებანი კუტანისა, გენერალი კონდრატენკო პორტ-არტურის პოზიციებს ათვალიერებს, რუსის სიმაგრე ლიაოიანის ახლოს, ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარი მდინარე ტაიძიხეში გადის და სამი კარიკატურა.

ბათუმის ქალაქის საბჭო

11 ოქტომბერი

როგორც „ცნობის ფურცელში“ აღნიშნული იყო, ბათუმის ქალაქის მოურავი თავ. ი. ანდრონიკაშვილი ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება. იგი დაიბარა ქალაქის საქმეების გამო თვით მთავრობამ. რაღაც მანქანებით დღევანდელ იმის წასვლაზედ ბათუმის გაზეთი ხმას არ იღებს და თავისებურად არ ილანძღება. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით იმის აღსანიშნავად, რომ ჩვენი საბჭო უიმისოდაც არა ყოფილა ბრწყინვალე ამ სესიაში და დღეს სულ სხივ მოკლებული შეიქმნა, რადგან მოაკლდა რამდენიმე ისეთი ხმოსანი, რომელთაც ასე თუ ისე სიცოცხლე შეჰქონდათ საბჭოს დარბაზში. დღეს, მგონი, ერთად-ერთი ცხარე ხმოსანი დარჩა მიხ. ნაკაშიძე, რომელსაც მარტოდ ბრძოლა უხდება იმათთან, რომელთაც უკვირთ, რომ ხმოსანი სხვებზედ ბევრს ლაპარაკობს. და „ცხარეთაც“ ლაპარაკობს. ღმერთმა ნუ ჰქნას, ამ ხმის ამოუღებლობის მოტრფიალეს მიეღწიოს იქამდის, რომ სიმართლიანი „ცხარე“ ხმოსანი ჩაეხუმებინოს და ამით სამარეთ გაეხადოს საბჭოს დარბაზი.

11 ოქტომბერს თავმჯდომარეობდა მოურავის მოადგილე ი. ივანოვი. ოქმის წაკითხვის შემდეგ ზოგიერთა ხმოსნებმა განაცხადეს, რომ ის ქუჩები, რომელიც ახლა იკირწლება, ცუდად კეთდება და თვალ-ყურს არავინ ადევნებსო. სჯობია მუშაობა შეჩერებულ იქმნას, სთქვა, სხვათა შორის, ხმ. მ. ნაკაშიძემ. „ნუ გეშინიანთ—მიუგო თავმჯდომარემ, ივანოვმა,—მუშაობა უიმისოდაც შეჩერდება, რადგან ქალაქს ფული აღარა აქვს და მოცემითაც აღარავინ მოგვცემსო“. ამის შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს მოკლე სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა დანიშვნა შინაგან საქმეთა მინისტრად თავად პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკისა, და დაუმატა, რომ ეს ამბავი იმით არის შესანიშნავი და სასიხარულო, რომ მინისტრმა გამოსთქვა ძვირფასი აზრი—ნდობა თვითმმართველობათა მიმართ, რასაც ჩვენ ასე ვნატრულობდით და ვეძიებდით; ამიტომ საჭიროდ ვცნობ მადლობა გადავუხადოთ დეპეშით მინისტრს. საერთოდ გამოთქმულ თანხმობის შემდეგ ივანოვმა წაიკითხა თვით დეპეშა, რომელიც ეგზავნება ბათუმის საბჭოსაგან შინაგან საქმეთა მინისტრს.

შემდეგ ამისა საბჭო შეუდგა მორიგ საქმეთა განხილვას. ქალაქს აქვს ნავთ-სადგურში გემთ მისადგომები. ეს მისადგომები აშენებულია იმ შემოსავლიდან, რომელიც ჰქონდა ქალაქს სიფუთო გადასახადიდან (ფუთზე მეხუთედი კაპიკი იყო). მისადგომებზედ ქალაქმა დახარჯა თექვსმეტი ათასი მანეთი; შეკეთებისათვის ამავე შემოსავლიდან იხარჯებოდა ფული. დღეს ეს შემოსავალი (300.000 მანეთი) ქალაქს აღარ ეკუთვნის, საზღვაო და სანავთ-სადგურო გამგე კომიტეტის ხელშია და ამ კომიტეტმა, როცა ქალაქმა მისადგომების შესაკეთებლად ფული ითხოვა, შემოუთვალა,—გადაეცით ეს მისადგომები ადგილობრივ სანავთ-სადგურო გამგეობასაო. საბჭომ გადასწყვიტა (წინააღმდეგ ერთის ხმოსნის გაიდებუროვისა), მისადგომები გადაეცეს სანავთ-სადგურო გამგეობას იმ პირობით, რომ გამგეობამ მათი საფასური უზღოს ქალაქს (ხმ. გაიდებუროვი იმ აზრისა იყო, რომ ნურაფერს ვთხოულობთო).

ამას წინად ბათუმში ჩამოიყვანეს ხოპერის ყაზახთა პოლკის ერთი სოტნა; ქალაქი იძულებული გახდა აეშენებინა ყაზარმა, რომელიც დაჯდა ოცდა ათი ათას მანეთად. შემდეგ ქალაქს მოსთხოვეს, ეძლია გასანათი და გასათბობი ხარჯი ყაზარმისათვის. ქალაქმა უარი განაცხადა ამაზედ, როგორც უკანონო მოთხოვნილებაზედ. საქმე მივიდა მთავარ მართებლამდის, რომელმაც განკარგულება მოახდინა, ერთხელ კიდევ განეხილა ეს საქმე ბათუმის საბჭოს და თუ ისევ უარს იტყვის საბჭო ამ ხარჯზე, მაშინ საოლქო საქალაქო საქმეთა საკრებულომ უნდა გადასწყვიტოს იგიო. საბჭომ ხელ-ახლა უარი სთქვა აღნიშნულ ხარჯის გაწევაზედ. ამასთან. რადგან ყაზარმა იმყოფება ქალაქის მიწაზედ, რომელიც ქალაქს 600 მანეთამდე მისცემდა შემოსავალს და მთავრობაც ვალდებულია სადგომის ქირა იხადოს (რადგან სოტნა სამუდამოდაა დაბინავებული ბათუმში და არა დროებით), საბჭომ აღძრა საქმე, რომ მიეცეს წლიურად სამასი თუმანი.

სხვა საქმეებში უფრო საყურადღებო იყო შემდეგი. ბათუმის საპატიმრო იმყოფება ვაჟთა გიმნაზიის გვერდით. ვერაფერი მეზობლობაა. ამასთან საპატიმროს შენობა დაძველდა, აშენებულია ოთხმოც ტუსაღისათვის, ხშირად კი ორასამდინ იყრის თავს. ვადაც უთავდება შენობის დაქირავებას. განზრახული იყო ახალ შენობის აშენება (ასი ათას მანეთიანისა), ფული უნდა ეშოვნათ შენობის ასაგებად და მოსაწყობად: ზოგი (40 ათასი) საპყრობილეთა გამგე კომიტეტისაგან, დანარჩენი ქალაქის რომელიმე შენობის დაგირავებით. შენობის ქირად ქალაქი თხოულობდა რვა ათასს მანეთს კომიტეტისაგან. ქალაქმა უარი მიიღო, რადგან რუსეთ-იაპონიის ომის გამო ფულის გაღება არ შეიძლებაო. საბჭომ დაადგინა, ვინაიდან ქალაქს ღონე არა აქვს შეუდგეს საპყრობილისათვის ახალ შენობის აგებას, აცნობოს ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მან თითონ იზრუნოს ამისათვის.

ნურიაში (ქალაქის ნაწილია) ქალაქს აქვს საბაზრო შენობა. იქვე იმყოფება დიდი მოედანი, რომელზედაც ქალაქმა ნება მისცა ვაჭრობისა მსურველთ (მეხილეებსა, მეწვანილეებსა და სხვას), რისთვისაც მათ ახდევინებენ გარდასახადს. ოთხი თვის განმავლობაში ამ გადასახადისაგან ქალაქს შეეძინა ოთხი ათასი მანეთი. ასე რომ ქალაქმა შემოსავლის კარგი წყარო იშოვნა. შემოსულის ფულით გამგეობა აპირობს მოედანის მორთვა-მოლამაზებას. საბაზრო შენობის ვაჭრები წინააღუდგნენ მოედანზე მოვაჭრეთ და გამგეობაში თხოვნა შეიტანეს, რომ აიკრძალოს მოედანზე ვაჭრობა, რადგან იგი ხელს უშლის ჩვენს ვაჭრობასაო. საბჭომ უსაფუძვლოდ სცნო ეს თხოვნა და უარ-ჰყო იგი.

ადგილობრივ სანავთ-სადგურო გამგეობაში ვაჭართა წარმომადგენლის ადგილი ი. ვარშავსკის სიკვდილის შემდეგ, თავისუფალია. თავმჯდომარემ განაცხადა, მხოლოდ ორ პირს (შპოლიანსკის და შუტცს) აქვთ უფლება არჩეულ იქმნენ წარმომადგენლადაო. ერთხმად დასახელებულ იქმნა შპოლიანსკი, საურთიერთო საკრედიტო ბანკის თავმჯდომარე. ხმ. ნაკაშიძემ შენიშნა, საჭიროა, რომ შპოლიანსკი ესწრებოდეს ხოლმე სანავთ-სადგურო გამგეობის სხდომებს და არა ითვლებოდეს მხოლოდ წევრადაო. თავმჯდომარემ ივანოვმა კუშტად შენიშნა ხმოსანს, რომ მას უფლება არა აქვს ილაპარაკოს, რაზედაც ხმოსნისაგან მიიღო პასუხად, რომ ჩემი უფლება მე-კი ვიციო, მაგრამ, ალბად, თქვენ არა გცოდნიათ თქვენი უფლებებიო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ივანოვმა მიმართა ხმოსნებს: „ხმოსანი ნაკაშიძე ყველაზედ უფრო მეტს ლაპარაკობს და იძულებული ვიქნები სხდომა დავხურო, რადგან მყუდროება ირღვევაო!“, ხმოსანი მაინც ვერ გააჩუმა მყუდროების მოყვარე თავმჯდომარემ, რომელიც მალ-მალ გაიძახოდა ამ საღამოს: „ნებას არ გაძლევთ! მეტი ლაპარაკი აღარ შეიძლებაო“!

უმნიშვნელო საქმეების განხილვის შემდეგ კრება გათავდა ღამის თერთმეტ საათზედ.

პრესსა

„რუსკ. ვედ.“-ი ისევ უბრუნდება დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხს, პრესსის, ბეჭდვითი სიტყვის შევიწროებულ მდგომარეობას. გაზეთი სამართლიანად ამბობს, რომ პრესსა დღეს ხალხის გულის პასუხის გამომხატველი არ არის, ზღვიდან გამომავალ ვიწრო არხს, პაწია სრუტეს მოგვაგონებს, რომელსაც ადამიანი ოდნავ თუ შესტყობს, თუ რამდენად მღელვარებს დიდებული ზღვა.

პრესსა ვერ ეხება დიდ-მნიშვნელოვან საკითხებს, საზოგადოებას უფლება არა აქვს ცოცხალის ინტერესით მოეკიდოს თავის საკუთარ საქმეებს. პირდაპირი გზა შეკრული აქვს და, რასაკვირველია, სხვა გზებს ეძებს თავისი გულის ნადების გამოსათქმელად.

გამოდის მრავალი ჟურნალ-გაზეთები, იბეჭდება მრავალი წიგნი. სხვა-და-სხვანაირ საკითხებს ეხება პრესსა, გარდა უპირველეს საჭირ-ბოროტო საკითხებისა. ის, რაც დღეს ინტერესით სავსე მოვლენას წარმოადგენს რუსეთის მკვიდრისათვის, დუმილით არის მოცული. მკითხველს ვერ მიაწოდებენ მისთვის მეტად საყურადღებო ამბებს და აზრებს დღევანდელ საქმის ვითარების შესახებ. მან თვითონ უნდა იგულისხმოს, სტრიქონებს შუა უნდა ამოიკითხოს, თუ რა ხდება ქვეყანაზე. მონური ენაა დღეს პრესსაში, რომლის გაგება მეტად ძნელია.

მაგალითად 1091 წელს რუსეთს შიმშილობა ეწია. მრავალი ხალხი დარჩა ულუკმა-პუროდ. საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ამ მოვლენის განმარტებას, დაჩაგრულ ხალხის ბედ-იღბალი აშფოთებდა, უკვირდა, რომ პრესსა ასე გულ-გრილად ეკიდებოდა ამ საზარელ მოვლენას. ერთად ერთი გზა საქმის ნამდვილი ვითარების შესატყობად—დამშეულ ადგილებიდან მოსული ხმები იყო.

შემდეგ გავრცელდა ხმები სამხრეთში გლეხთა დიდ მოძრაობის შესახებ, მაგრამ პრესსამ სიტყვაც ვერ წარმოსთქვა ამ საყურადღებო მოვლენაზე. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან გაქრა ყველაფერი, რაც-კი ოდნავად მაინც ეხებოდა ამ ამბავს.

მკითხველს უკვირდა, რომ პრესსამ ენაც ვერ დასძრა, ვერაფერი ვერ სთქვა მუშების დიდ გაფიცვათა შესახებ, რომელნიც მოედვნენ რუსეთის საქარხნო რაიონებს, თუმც ეს მოვლენა რუსეთის ცხოვრებაში არა ჩვეულებრივი, სრულიად ახალი მოვლენა იყო. ამ მოძრაობამ მთელი რუსეთის მკვიდრნი აალაპარაკა, დაჩრდილა ყველა სხვა დღიური საჭირო ბოროტი-საკითხები. მრავალი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთის ცხოვრებიდან, როდესაც ხალხი პრესსისგან ფრიად საყურადღებო მოვლენათა განმარტებას ელოდა, დიდხანს ელოდა, ბოლოს იმედი გაუცრუვდა და სხვა გზით შეუდგა თავისი გულის პასუხის დაკმაყოფილებას.

პრესსას დღეს არა აქვს მტკიცე, კანონიერი საფუძველი. იგი სავსებით არის დამოკიდებული ბეჭდვითი სიტყვის სხვა-და-სხვა გამგეთა პირად შეხედულებაზე,—ადმინისტრაციის ნებაზე, რომელიც მრავალნაირ კანონებსა ჰქმნის.

ბევრი სხვა-და-სხვანაირი სასჯელი ელის „წესის“ დამრღვევ ორგანოს; მოსამართლე—ადმინისტრაციაა. პრესსის მოღვაწეთ არა აქვთ უფლება თავის გამართლებისა, თავის დაცვისა.

1865 წელს დაარსებულმა საცენზურო კომისსიამ განმარტა, რომ კანონში არ არის აღნიშნული ძალა რა შემთხვევაში ელის ორგანოს ადმინისტრატიული სასჯელი. უნდა დაისაჯოს მავნე მიმართულების ორგანოო; სიტყვა „მავნე“ კი ბევრნაირ პირად შეხედულების შემცველიაო“.

ბოლოს „რუსკ. ვედ.“-ი ამბობს, რომ სავსებით გამართლდა რუსეთის ცხოვრებაში კომისიის წინასწარმეტყველება. პრესის შევიწროება და დროებით შედარებით თავისუფლება—შემთხვევის, ადმინისტრაციის პირადი შეხედულების შედეგი იყო ყოველთვის. რუსეთის პრესამ ისიც არ იცის, რა უფლება აქვს და რა არის მისთვის აკრძალული. დღეს ამა თუ იმ აზრის გამოთქმის უფლებას მისცემენ. ხვალ, როცა ადმინისტრაციის „პირადი შეხედულება“ გამოიცვლება, ამავე აზრის გამოთქმისათვის დასჯიან ორგანოს.

ამისთანა ორჭოფმა მდგომარეობამ ჯანი გამოულია რუსეთის პრესას, ფეხქვეშ მკვიდრი ნიადაგი გამოაცალა.

რუსეთის შინაგან პოლიტიკაში ახალი სიოს ნიშნებმა უცხოეთის საზოგადოებაც აალაპარაკეს. მაგალითად, ბერლინში საზოგადოება თანაგრძნობით მიჰგებებია ამ ახალ მოვლენას. უცხოეთში მყოფმა რუსეთის გაზეთების კორესპონდენტებმა აღნიშნეს ეს სასიამოვნო ამბავი და შემდეგს იწერებიან:

გერმანელები გვეუბნებიან: პატიოსნად, კეთილშობილურად და მამაცად უნდა გამოსთქვათ თქვენი აზრები რუსეთის ცხოვრების დიდ-მნიშვნელოვან საკითხების შესახებ; მხოლოდ გადაჭარბებას, გატაცებას უნდა მოერიდნეთ. მთავრობას უნდა დაანახვოთ, რომ თქვენს ქვეყანაში ცხოველი ძალა სჩქეფს. საშიშარია ისეთი წესწყობილება, სადაც მხოლოდ რეაქციონერებს დარჩათ ბურთი და მოედანი, სადაც ისინი ხმა-მაღლა ჰღაღადებენ, კეთილშობილი, მოწინავე აზრი კი ხმა-გაკმენდილია, ან საზღვარ-გარეთ ეძებს თავშესაფარს და სიტყვის გამოთქმის საშუალებას. განა კარგად არ ახასიათებს რუსეთში ბეჭდვითი საქმის შევიწროებულ მდგომარეობას ის გარემოება, რომ ისეთი ცნობილი მეცნიერი და გამოჩენილი მოღვაწე, როგორიც განსვენებული თქვენი მწერალი ბ. ნ. ჩიჩერინი იყო, იძულებული გახდა თავისი ნაწარმოები საზღვარ-გარედ გამოეცა, მაგალითად, თავისი მშვენიერი წიგნი: „რუსეთი მე-XIX საუკუნის მიწურულში“.

სასამართლო

I

უცნაური კბილის ექიმი

12 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრების იან რასინსკისა, რომელსაც კერძო სამკურნალოს დირექტორის ექიმ მარკოზოვის დაკვრა ჰბრალდებოდა. რასინსკი მოსამსახურედ ყოფილა სამკურნალოში. რასინსკის კბილის ამოღება უსწავლია და მარჯვე შემთხვევის დროს თითონ იღებდა სამკურნალოდ ავადმყოფებს. ეს შეუტყვია სამკურნალოს პატრონსა და დირექტორს მარკოზოვს და 1902 წელს ივლისში რასინსკისათვის დიდი საყვედური გამოუცხადებია. ამაზე რასინსკის ბრაზი მოსვლია, წამოუვლია ხელი წამლის შუშისათვის და ორჯელ ისე ძლიერ დაურტყამს ექიმისათვის შუბლში, რომ თავი გადაუჩეხია. შემდეგ მივარდნია მუშტებით და ექიმი უცემია. ჭრილობა შეუმოწმებია ექიმს მაღალაშვილს და გამორკვეულა, რომ იგი საშიშო არა ყოფილა. ტფილისის 2 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს ეს საქმე განუხილავს ამას წინად. მოსამართლეს რასინსკი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია 2 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. რასინსკის საქმე გადაუტანია ოლქის სასამართლოში, რომელმაც დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი, მაგრამ უმაღლეს მანიფესტის ძალით სასჯელი შეუმცირა 1 თვესა და 10 დღედ.

II

დღეს, 14 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე განჯის მცხოვრების სომხების სერგო ბაგირიანცისა, ალექსანდრე კორჩალოვისა, მარტიროს აღაჯანოვისა, კარაპეტ ოვანესიანცისა, კარაპეტ ტერ-ზახარიანცისა და სხვა 40 სომხისა, რომელთაც ჰბრალდებათ, რომ 1903 წელს 20 აგვისტოს 300 სხვა კაცთან ერთად წინასწარ-განზრახვით წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას და იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიების ქონების ჩამორთმევა. ამ საქმეს პალატა განიხილავს ხალხის დაუსწრებლად. ბრალდებულთ იცავენ პეტერბურგელი ვექილი გრუზენბერგი, მოსკოველი—მურავიოვი და ტფილისელი მ. ო გრუზენბერგი, ხომენტკოვსკი, იონესიანი და სხვანი.

III

9 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ზაქარია კახიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლისათვის ოლქის სასამართლოსაგან 4 თვით საპყრობილეში დაპატიმრება ჰქონია გადაწყვეტილი. პალატამ გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლით გაგზავნა.

IV

თავ. ივანე აბაშიძისათვის ქუთაისის ოლქის სასამართლოს გადაუწყვეტია კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენისათვის ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 1 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ ამ დღეებში განიხილა ეს საქმე და აბაშიძეს სასჯელი ორს თვემდე შეუმცირა.

V

ტფილისის ოლქის სასასართლომ 12 ოქტომბერს განიხილა საქმე ნაფიც ვექილის იონესიანისა, რომელსაც წიგნების მაღაზიის პატრონი ლ. ბ. ხიდეკელი უჩიოდა, ცილი დამწამაო. როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ხიდეკელისათვის გაზეთის გამოსაწერად იონესიანს ფული გადაუცია. რადგან გაზეთი დროზე არ მისვლია, იონესიანს საქვეყნოდ გამოუცხადებია, ხიდეკელმა ჩემი ფული შესჭამა და გაზეთი აღარ გამომიწერაო. მომრიგებელმა მოსამართლემ იონესიანი გაამართლა, ხოლო ოლქის სასამართლომ, სადაც საქმე გადავიდა, დაადგინა, 5 დღით დაპატიმრებულ იქნეს იონესიანი ანუ 30 მანეთი გადახდეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ 7 და 8 აგვისტოს იაკუტსკის ოლქის სასამართლოს განუხილავს საქმე ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულთა, სულ 59 კაცისა, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-263 და 268 მუხლებში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებოდათ. ოლქის სასამართლოს განაჩენით 12 წლის კატორგა გადაეწყვიტათ: ტესლეგს, კურნატოვსკის, იზრაილსონს, როიზმანს, როზენტალს, ბროიდოს, ვიკერს, კოსტოიანცს, დობრომისლოვს, კუდრინს, პოგასოვს, კაგანს, პერაზიჩს, პრიზვიშჩევს, სოლოდუხოს, ტეპლოვს, ჟურიდს, ბოდნევსკის, კოსტიუშკოვს, ბარდოიანს, ლაგოვსკის, რაბინოვიჩს, რჟონცას, ანნა როზენტალს, რუბინჩიკს, კოლდა ვიკერს, ვინოგრადოვს, დრონოვს, ჯოკოეძეს, გაბრონიძეს, გელფანტს, ზაკონს, ზახაროვიჩს, ზილკინდს, ლურიეს, კამერირერს, გელმანს, ორჟეროვსკის, ოლშტეინს, მედიანიკს, მოსიუკევიჩს, რუდავსკის, ეკატერინე როიზმანს, ტრიფონოვს, ხაცკელევიჩს, კუკერს, ცენტერაძეს და ქმურკინს, ნიკიფოროვს მიესაჯა ერთის წლით ტუსაღთა როტაში დაპატიმრება, ხოლო ვილენკინი, პომერანეცი და ზემზასანი ოლქის სასამართლომ გაამართლა („პრავო“, 94 წ., №-33).

◆ როგორც „რიჟსკი ვესტნიკი“ იუწყება, 15 აგვისტოს რიგაში, საგუბერნიო საპყრობილესთან მომხდარ უწესოების დროს, საშიშოდ დაუჭრიათ რიგის პოლიცმეისტრის თანაშემწე ნ. ა. ლიშინი.

◆ იგივე გაზეთი ამბობს, ლიტერატორთა ჯგუფი ამ ჟამად შუამდგომლობს, ისევ გაიხსნას მწერალთა კავშირი, რომელიც დ. ს. სიპიაგინის განკარგულებით დახურულ იქმნა.

წერილები

იურიევი (დორპატი). იშვიათად შეხვდება ადამიანი ისეთს ქალაქს, რომელსაც წარსულში იმდენი უბედურობა და სისხლის ღვრა გამოევლოს, რამდენიც დორპატს. ეს უკანასკნელი დაარსებულია 1030 წ. რუსთა მთავარ იაროსლავ-იურის მიერ და იმყოფება ლიფლიანდიის გუბერნიაში, მდინარე ემბახზედ. ამ ადგილას ხშირად ხდებოდა შეტაკება სხვა-და-სხვა ერთა შორის და დორპატიც ძალა უნებურად შიგ ჰყვებოდა. ბევრჯელ გამოსულა იგი ამ ბრძოლიდან აოხრებული, მისუსტებული, მაგრამ ბევრჯელაც უნახავს აყვავების ხანა; რამდენისამე საუკუნის განმავლობაში დორპატი გადადიოდა რუსების, გერმანელების, პოლონელების, შვედების ხელში. ბოლოს, პეტრე დიდის დროს, ისევ რუსები დაეპატრონნენ. 1704 წ. დორპატი შეუერთდა რუსეთის სხვა ქალაქებს და მით უკანასკნელად გადაწყდა იმისი ისტორიული ბედი. მაგრამ ეს შეერთება იყო მხოლოდ ფორმალური, ფაქტიურად-კი იგი დარჩა ისევ იმ ერის ხელში (გერმანელებისა), რომელსაც წარსულში უფრო ძლიერი გავლენა ჰქონდა. ამიტომაც არის, რომ დღეს დორპატი არ წააგავს არც ერთს რუსეთის ქალაქს. იმისი გარეგანი ფორმა და საზოგადოებრივი ცხოვრება დასავლეთ ევროპიულია. დორპატი ლამაზი, სუფთა და წყნარი ქალაქია. აქ არ შეხვდებით იმ სიბინძურეს და ქრიამულს, რომელიც ჩვენებურ ქალაქის თანდაყოლილ თვისებას შეადგენს. თუმცა პატარაა, მაგრამ სწავლა-განათლებით წინ გაუსწრო რუსეთის სხვა უზარ-მაზარ ქალაქებს. დორპატში არის ორი უმაღლესი (უნივერსიტეტი და საბეითალო ინსტიტუტი) და რამდენიმე საშუალო სასწავლებელი. ტყუილად-კი არ უწოდებენ გერმანელები დორპატს „Musenstadt am Embachufer“—„მუზების“ ქალაქს მდინარე ემბახზე, ან კიდევ „ლივონიის ათინას.“ ამ სასწავლებლებში უფრო შესანიშნავია უნივერსიტეტი. (ეს წინედ გერმანელებს ეკუთვნოდათ, ეხლა-კი რუსების ხელშია), რომელიც ერთ დროს სახელ განთქმული იყო მთელ გერმანიაში. აქ იყო პროფესსორად გამოჩენილი ფიზიოლოგოსი კარლ ერნსტ ფონ-ბერი, რომლის ძეგლი აღმართულია უნივერსიტეტის ბაღში. აქვეა პროფესსორად რაუბერი, გამოჩენილი ანატომი, რომელიც წინანდებურად ლექციებს გერმანულ ენაზედ კითხულობს. შესანიშნავია აგრეთვე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, სადაც მოიპოვება დიდებულ ფილოსოფოსის კანტის და მარტინ ლიუტერის ხელთნაწერები. 1997 წლის აღრიცხვით დორპატის მკვიდრ მცხოვრებლებს შეადგენდა 40,146 სული. ამათში 70,8%—ესტონელია, 16,7%—გერმანელი, 6,5% - რუსი, 4,0%—ებრაელი. მათ შორის გამწვავებულია ჩუმი ეკონომიური ბრძოლა, საიდანაც გამარჯვებულნი გამოდიან გერმანელები. ამ კლასსობრივ ბრძოლას ზედ ერთვის ნაციონალური ბრძოლაც. ესტონელს შავი ჭირივით ეჯავრება გერმანელი, ხოლო გერმანელს—ესტონელი. ასეთივე ანტაგონიზმია სხვა ერებს შორის. თითო იმათგანი წარმოადგენს განცალკევებულ წრეს, რომელიც სცოცხლობს საკუთარის კარჩაკეტილის ცხოვრებით.

დ. ონიაშვილი

ზემო-რაჭა. ეჭვი არ არის, მკითხველს ეცოდინება, რა სიღარიბეა ზემო რაჭაში. აქ სულ მცირეა ისეთი ადგილი, სადაც რიგიანი მოსავალი მოდის. მხოლოდ რამდენსამე სოფელს შეუძლიან სთქვას რაჭაში, ადგილი გვაქვსო. რაჭის მაზრა მთა-გორიანია და პირნახული მცირე მოდის. ზემო-რაჭის უმეტეს სოფლების მცხოვრებთ წლამდის საყოფი სარჩო არ მოუვა. თუ ეკონომია იხმარა, შეიძლება გაჭირვებით ნახევარ წელიწადს ეყოს თავის ხელით მონაღვაწი; დანარჩენ ექვს თვეს ნაყიდ პირნახულით უნდა არჩინოს ოჯახობა. ზემო-რაჭის ხალხი, როგორც მთის შვილნი, მოუღალავი მუშა-მშრომელია. სახლში მუშაობას მორჩება თუ არა, მაშინვე აიკრავს ბარგს, გაილესს მძიმე ცულს, სტოვებს ცოლშვილს ღვთის ანაბარა, გაუდგება გზას და მიდის კახეთში. იქ მუშაობს, მოიგებს ფულს და მოდის სააღდგომოდ სახლში. ნააღდგომევზე ისევ მიდის, იშოვის ორიოდე გროშს და ბრუნდება უკან სათიბამკოთ; ენკენისთვის დამლევს წავა და აღდგომამდის კიდევ იქ არის. წრევანდელმა ხანგრძლივმა გვალვიანმა ზაფხულმა ძალიან შეაწუხა ზემო-რაჭის ხალხი: სიმინდისა სულ მცირე მოსავალი მოვიდა. რთველი ზემო-რაჭაში რიგიანი იყო; თუმცა ვენახი ცოტაა, მაგრამ ბევრგან კარგად მოვიდა ღვინო. ღვინის პატრონი ღვინოსა ჰყიდის და იმის ნაფასურით სიმინდს ყიდულობს და მომავალ წლისათვის თავდარიგს იჭერს. რაჭიდან თერგის ოლქში ურმის გზა გადადის, იქიდან მრავალი სიმინდი გადმოაქვთ ოსებს და ონში ასაღებენ ზაფხულობით, სანამ მთები შეიკრავდეს. წრეულს სიმინდის ფასმა აიწია. ფუთი იყიდება 1 მან. 10 კაპ.—20 კაპ. მომავლისთვის უფრო შიშობენ სიმინდის გაძვირებას, ვინაიდან უმეტესი ნაწილი რაჭისა დამშეულია. **მ. მაისურაძე.**

ს. კიკნაველეთი (იმერეთი). წელს საზოგადოდ როგორც მთელს იმერეთში, ისე სოფელ კიკნაველეთში თითქმის შიმშილობაა. ბათმანი (ცხრა ოკა) სიმინდი ფასობდა ოთხ აბაზად, ხშირად თვრამეტ შაურადაც, მაგრამ ფულიც რომ ჰქონოდა ხალხს, გასასყიდსაც ვერ შოულობდა და ამიტომ უმრავლესობა ნახევარჯერ ხილით იკვებებოდა. ზოგიც ყვირილიდან გამომცხვარ პურს ეზიდებოდა. ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. სწორედ ამაზეა ნათქვამია, ს. სვირში, საქონლის ჭირი გაჩნდა და ამით ს. კიკნაველეთსაც გზა შეეკრა ხარით მუშაობისა. აქედან ბლომად მიჰქვთ შეშა ყვირილაში და ჰყიდიან. მაგრამ ახლა ჭირმა შეაფერხა. შიმშილთან ერთად ეს წყაროც მოესპოთ. გახშირდა ქურდ-ბაცაცობა, წისქვილებიდან სიმინდის მოპარვა და მრავალი სხვა.

ლ. კიკნაველიძე

რმოსთქვა აგრეთვე ლიგის თავმჯდომარემ პრესანსემ.

კვირას 2 ოქტომბერს, პირველ საათიდან ხალხი მოაწყდა სამების მოედანს, საიდანაც პროცესსია უნდა წასულიყო მონმარტრის სასაფლაოზე. საათის ორზე მთელი მოედანი აივსო ხალხით. სხვა და სხვა სექციათა ბაირაღები ჰაერში აფრიალდა, ცოცხალი ყვავილებისა და „უკვდავა“-საგან შეთხზულ გვირგვინების სიმრავლე თვალს სჭრიდა მაყურებელს. 15 ათას ქალისა და კაცისაგან შემდგარ პროცესსიას წინ გაუძღვა „ადამიანის უფლებათა ლიგის“ კომიტეტი და დაიძრა. პროცესსიამ გაიარა, სხვათა შორის, ბრიუსელის ქუჩაზე სახლებთან, სადაც სცხოვრობდა და გარდაიცვალა მიზეზი ამ პროცესსიისა—ზოლა. ყველამ ქუდები მოიხადეს და ისე ჩაუარეს ძვირფასს სახლს. გზა-გზა რიგ-რიგად მღეროდნენ „ინტერნაციონალს“ (საერთაშორისო საგალობელი) და იძახოდნენ „A bas la calote“ (ძირს კლერიკალნი)! რაც ქალაქში წესიერების მცველნი მოიპოვებოდნენ, ქვეითი თუ ცხენოსანი, პოლიციის განკარგულებით, სულ აქ მოეყარათ თავი. შიში დიდი ჰქონდათ, არეულობა არ მოხდესო; მაგრამ ხალხმა შესანიშნავის წესიერებით გაიარა წინდაწინვე დანიშნული გზა და მიადგა მონმარტრის სასაფლაოს. აქ კი, სივიწროვისა გამო, იძულებულნი იყვნენ თითო-თითოდ გაევლოთ დიდებულის მწერლის საფლავის წინაშე. მთელი სამი საათი მოუნდა, სანამ ყველანი ჩაუვლიდნენ ძეგლს, რომელიც ბოლოს თითქმის არც-კი სჩანდა ყვავილთა და გვირგვინთა სიმძიმის ქვეშიდან. საღამოს ხუთ საათზე უკვე ყოველივე დასრულებული იყო. ხალხი იმავე წესიერებით დაიშალა, რა წესიერებითაც მწერლის პატივსცემლად მოვიდა მისს საუკუნო განსასვენებელთან.

ფრანგები ამ ნაირად იგონებენ თავისის ღვაწლ-მოსილის წევრის სახელს! მაგრამ ამ მოგონებას არა სჯერდებიან. უნდათ მისს უკვდავს სახელს სხვა პატივიც მიაგონ. ამ განზრახვით „ადამიანის უფლებათა ლიგა“-მ კომიტეტი შეადგინა და მიანდო ზოლას ძეგლი აუგონ პარიზში. კომიტეტის წევრებად არიან: ანატოლ ფრანსი, ოქტავ მირბო, შარპანტიე და სხვა გამოჩენილნი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. ძეგლის გაკეთება მინდობილი აქვს ცნობილ მოქანდაკეთ კონსტ. შენიეს და შარპანტიეს. ხსენებულ მოქანდაკეთა პროექტის თანახმად ზოლას ძეგლმა უნდა გამოხატოს ზოლას ნაწერების შინაარსი და მისი დიდებული სახე, რომელიც დასცქერის დედას, ბავშვებ შემოხვეულს და „ნაყოფიერების“ გამომხატველს; რომელიც დასცქერის, მეორეს მხრით, მუშას, „შრომის“ გამომხატველს. თვით ზოლას დასცქერის ქალი ხელგაშვერილი, გამომხატველად „სიმართლისა“ და „ჭეშმარიტების“, რომელიც უნდა გადაეფაროს კაცობრიობას და გაამეფოს ქვეყანაზე შრომა და თანასწორობა. ეს ძეგლი რამდენსამე თვეში მზად იქნება და აუგებენ პარიზში სადმე გამოჩენილ ადგილას. ამავე დროს ქალაქმა პარიზის რომელსამე დიდს ქუჩას ზოლას სახელი უნდა დაარქვას.

ხოლო როგორც აპოთეოზი უდიდესისავე პატივისცემისა, ფრანგებმა ზოლას ნეშტი მონმარტრის სასაფლაოდან პანტეონში უნდა გადმოასვენონ და დაასაფლავონ ვოლტერისა, ედგარ კინესი, რენანისა და სხვა უკვდავთა გვერდით.

თ. ხ.

ომის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

13 ოქტომბერი

პეტერბურგი. აბისსინიის მეფემ მენელიკმა 100 ათასი ფრანკი შესწირა რუსის დაჭრილ და ავადმყოფ მეომრებს.

ტოკიო, 12 ოქტომბერი („რეიტერი“). ტოკიოს გაზეთი „ძიძიშიმპო“, რომელმაც მარტომ გამოსთქვა აზრი ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარ შემთხვევის შესახებ, ფიქრობს, ყველაზე უფრო იმით შეიძლება აიხსნას ეს შემთხვევაო, რომ ამ რამდენისამე დღის წინად ხმები გავრცელდა, დანიის წყლებში იაპონიის გემები გამოჩნდნენ ასაფეთქებელ მასალით და ამიტომ დანიამ ერთი სამხედრო გემი გაჰგზავნა, რომელიც რუსის ესკადრას უნდა გაჰყოლოდა, რათა დანიის ნეიტრალიტეტის დარღვევის მსურველთათვის ხელი შეეშალა. ჩვენ, იაპონელებმა, არაფერი ვიცით დანიის წყლებში იაპონელთა გემების გაგზავნის შესახებ, მაგრამ შესაძლებელია, მეთევზეთა გემები რუსებს იაპონელთა გემები ეგონათ, რომელნიც ნაღმებს აწყობდნენ ზღვაში; ამიტომ რუსები თავს დაესხნენ იმათ.

ჩიფუ, 12 ოქტომბერს („რეიტერი“). ანდუნიდან მოსული ნავი იუწყება, იაპონელთა რვა მაღაზია სურსათით, სამხედრო მასალით და სხვა-და-სხვა ნივთებით ცეცხლმა გაანადგურა. ცეცხლი ორ დღეს მძვინვარებდაო. ფიქრობენ, ეს ცეცხლი ორ იაპონელ აფიცრის დაუდევრობით გაჩნდა. დამნაშავე აფიცრებმა თავი მოიკლეს.

ლონდონი, 12 ოქტომბერი („რეიტერი“). ოკუს არმიაში მყოფი რეიტერის კორესპონდენტი იუწყება, რომ ჯარს თბილი ტანისამოსი დაურიგეს. როგორც სჩანს, ჯარი არ შეუწუხებია სიცივეს. დიდი მზადებაა.

ლონდონი, 13 ოქტომბერი („რეიტერი“). საადმირალოს ინსტრუქციის თანახმად, სამხედრო გემი „ხერტი“, რომელიც მეთევზეთა დამცველ გემებს მეთაურობს, ჩრდილოეთის ზღვაში წავიდა.

ბარრი, გემი „ესპერანცია“ შეაკეთეს და 12 ოქტომბერს წავიდა.

ვიქტორია, 13 ოქტომბერი („რეიტერ.“). იაპონიის სათადარიგო ჯარის კაცებმა, რომლებიც ინგლისის კოლუმბიაში ცხოვრობენ, ბრძანება მიიღეს იაპონიაში დაბრუნდნენ. ინგლისის გემი „კოშინგი“, რომელმაც აქ შემოიარა ჩიფუდან შანხაიში მგზავრობის დროს, დღეს დაბრუნდა და იუწყება, 12 ოქტომბერს ჩრდილოეთ აღმოსავლეთის კონცხის ჩრდილოეთით მცურავ ნაღმს წააწყდა. გემის შუბლი ძლიერაა დაზიანებული. ერთი ადგილობრივი მკვიდრი მოკლულია, ერთი უკვალოდ დაიკარგა და სამი დაიჭრა.

მუქდენი, 13 ოქტომბერი. გუშინ გენერალ-ადიუტანტმა ბარონმა მეიენდორფმა წმ. გიორგის ჯვრები დაურიგა ნეიშლოტის პოლკის სალდათებს, რომელთაც თავი ისახელეს სახიანის ახლოს სოფლის აღების დროს. ყველაზე მეტი ჯვარი მე-7 როტას ერგო, რომელმაც თვითონ იკისრა წინამძღვრობა და გზა გაუკვლია სოპკის ასაღებად იერიშით მისულ ჯარს. ეს მამაცი როტა, კაპიტანის კუზნეცოვისა და შტაბს-კაპიტანის ბერნდტის უფროსობით, პირველად თავს დაესხა მტერს.

მოსკოვი. ერობის რწმუნებული თავადი დოლგორუკოვი სწერს მოსკოვის ერობას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებდა ლიაოიანის უმთავრეს ბრძოლის დროს მე-4 საერობო სასანიტარო რაზმი. ეს რაზმი ემსახურებოდა მარცხენა ფრთას, უნდა დახმარებოდა რუსებს უკან დაწევის დროს და უნდა ეცადნა, რომ იაპონელებს არ ჩავარდნოდა ხელში და თავიანთი ქონება დაეცვა. მძიმედ დაჭრილთა გარდა, ავადმყოფებიც არიან. სანიტართა საკმაო რიცხვი არა ჰყავთ.

ლონდონი, 13 ოქტომბერი („რეიტერი“). გემმა მიიყვანა ქალაქ გულში სამი დაჭრილი. აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი ინჟენერია და მკერდში არის დაჭრილი ყუმბარის ნატეხით. მეორე—სათევზაო გემის აფიცერია და ყუმბარის ნატეხით ზურგშია დაჭრილი, მესამე—კოჩეგარია, მარჯვენა ხელში მსუბუქად დაჭრილი. ყველანი კარგად არიან. ესენი გემ „კრეინ“-ის მეზღვაურები არიან.

ლონდონი, 13 ოქტომბერი („რეიტერი“). „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება პორტ-არტურიდან 9 ოქტომბერს, რომ, სიმაგრეთა გარედ რუსებს კიდევ შვიდი გარეშე სიმაგრე აქვთ. ელექტრონის პროჟექტორები განაწილებულია სიმაგრეებს შორის, აგრეთვე მაშხალებიცაა მოწყობილი. ამ გვარად რუსებს შეეძლოთ თვალ-ყური ედევნებინათ იაპონელთა წინსვლისათვის და მოხერხებულად დამალული მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნებით დაეშინათ იმათთვის ყუმბარები. გარეშე სიმაგრეებს ათასი ფუტი სიმაღლე აქვთ და სამი მილის მანძილზე ნათლად მოსჩანან მიზანში ამოსაღებად. რუსების სიმაგრე 12 მილის მანძილზეა. 100,000 კაცისაგან შემდგარი ჯარიც-კი ვერ აიღებს ამ სიმაგრეს, დამცველთა საკმაო რიცხვი რომ ჰყავდეს. იაპონელთა გამარჯვება განსაცვიფრებელი იქნება, თუ შესძლეს და აიღეს ციხე, 30,000 კაცის ზარალით, რადგანაც მეციხოვნენი, მიუხედავად იმისა, რომ რიცხვით ცოტანი არიან, შეუძლიათ განაგრძონ ციხის დაცვა ისე, რომ დიდი ზარალი არ ნახონ. იაპონელებმა დიდძალი ხალხი უნდა შესწირონ მოწინავე სიმაგრეების ასაღებად, რომლებიც ისევე ძლიერნი არიან, როგორც დიდი სიმაგრეები.

ბლაგოვეშჩენსკი, 13 ოქტომბერი. ზღვაოსნობა შესწყდა. 10 ოქტომბერს უკანასკნელი გემი მოვიდა. ამურზე ყველგან ყინული დაიძრა. ფოსტა ტვირთით იგზავნება. რკინის გზით მოტანილი მრავალი საქონელი ამურის მხრისათვის სრეტენსკში დარჩა, სანამ ზამთრის გზა გაიხსნებოდეს. ქალაქში არ არის საკმაოდ ნავთი, შაქარი, სანთელი და მარილი. ფასებმა აიწიეს. მცხოვრებელთა ზამთარში უზრუნველ-საყოფად ხორცის მხრით ქალაქის საბჭომ მიიღო სესხად ხაზინისაგან 60,000 მან.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

13 ოქტომბერი

ჩიფუ, 12 ოქტომბერი. დალნიდან ნავით მოსული ჩინელები ამბობენ, რომ 8 და 9 ოქტომბერს დიდი ბრძოლა იყო პორტ-არტურთანაო. პორტ-არტურის ნავთ-სადგურში 5 დიდი სამხედრო გემია. 5 ოქტომბერს იაპონელებმა ორი სიმაგრე აიღესო. იაპონელთა ჯარი განუწყვეტლივ მიდის დალნიდან პორტ-არტურისკენ. დალნში ჩიფუს გზით გაგზავნეს მრავალი პირუტყვი, ვეიხავეის სამხრეთ-დასავლეთ ადგილებიდან. დალნში რამდენიმე ათასი დაჭრილი იაპონელია, სხვა დაჭრილებს მოწინავე რაზმებიდან ჰგზავნიან.

ბრესტი, 12 ოქტომბერი. 12 ოქტომბერს უესსანის ახლოს გაიარა და სამხრეთისკენ წავიდა რუსის პატარა ესკადრა, რომელიც შესდგება სამ ნაღმიან გემისა და ერთის ტრანსპორტისაგან.

ლონდონი, 12 ოქტომბერი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა: „იაპონელებმა შახეს ბრძოლაში 12 ოქტომბრამდის დაჰკარგეს სულ 15,879 კაცი; ამ რიცხვში აფიცრებიც არიან ჩათვლილნი“.

ხუანშანი, 13 ოქტომბერი. სამხედრო მოქმედება ჯერ კიდევ შეჩერებულია. ორივე ჯარი ახლო დგანან ერთი მეორის წინააღმდეგ, მაგრდებიან ადებულ პოზიციებზე, იშვიათად ესვრიან ერთმანერთს; სროლა უფრო საღამოობით ძლიერდება, რადგან ჩამავალი მზე მშვენივრად ანათებს ჩვენს პოზიციებს. ჩვენის ცხენოსან ჯარის და მსურველთა გაბედული ზვერა იწვევს თოფის სროლას მტრის მხრივ და ეს სროლაა, რომ ღამის მშვიდობიანობას არღვევს.—კუროპატკინის დანიშვნა მთელ სამხედრო ძალის მთავარ-სარდლად უსაზღვრო აღტაცებას იწვევს ჯარში, როგორც ახალი ნიშანი ხელმწიფის მოწყალებისა ჯარისა და მის საყვარელ სარდლისადმი.

ჩიფუ, 13 ოქტომბერი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ინგლისური გემი „კაშინგი“ ღამით ნაღმს წააწყდა კუნძულ ვეიხაივეისთან და შესამჩნევად დაზიანდა, მაგრამ ვეიხაივეიმდე მაინც მივიდა. ერთი ჩინელი მოკლულია, ორი დაჭრილი, ორიც არა სჩანს.

პეტერბურგი, 13 ოქტომბერი. „ჟურნალ დე ს.-პეტერბურგი“ ეხება ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარ ინციდენტს და ამბობს, რომ ეს ინციდენტი უბედურებაა როგორც რუსებისათვის, ისე ინგლისელებისათვის. გაზეთის შეხედულებით, იგი არის არა მარტო უბედური შემთხვევა, არამედ უფრო შედეგი იმ შეუძლებელ პირობებისა, რომელიც შექმნა იაპონელების ვერაგ და ცბიერმა წესმა ომისამ. ასეთ პირობებშიო, ამბობს გაზეთი, ჰქრება საზღვარი ნამდვილსა და წარმოდგენილ საშიშროებას შუა. ეხლანდელი შემთხვევა შეიძლება იყოს შედეგი არეულ გარემოებათა; მათი მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ კანონს გარეშე იქნება გამოცხადებული ის ნიპონიზმი, რომელმაც ისინი შექმნა. სხვა გაზეთები დაახლოებით ამავე აზრის არიან. „ჟურნალ დე ს.-პეტერბურგ“-ი იწვევს რუსის საზოგადოებას შემწეობა აღმოუჩინონ დაზარალებულთ და თავის მხრივ სწირავს ამ საქმეს 50 მ.—გაზეთები სიამოვნებით ეგებებიან კუროპატკინის დანიშვნას მთავარ-სარდლად და ეს დანიშვნა მიაჩნიათ მომავალ გამარჯვების მომასწავებლად.

დალნი, 9 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს: მას შემდეგ, რაც პორტ-არტურს ალყა შემოერტყა, იაპონელებს დააკლდათ არა ნაკლებ 30,000 კაცისა. მართალია, მეციხოვნე ჯარი დაიღალა და იაპონელების ზარბაზნებისგან ძლიან შეწუხდა, მაგრამ პორტ-არტურის ასაღებად იაპონელებმა კიდევ მაინც რამდენიმე ათასი კაცის სიცოცხლე უნდა შესწირონ.

ლონდონი, 13 ოქტომბერი. ინგლისის საადმირალომ შემდეგი გამოაცხადა: „ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევისა გამო საადმირალომ ბრძანება გასცა, რომ ხმელთა შუა ზღვისა და ლამანშის ესკადრებმა ერთად იმოქმედონ და ერთმანეთს დახმარება აღმოუჩინონ.“

ბისკაის ყურეში გამოჩნდა რუსეთის ოთხი ჯავშნიანი გემი. 11 აგვისტოს დილით უშანტსთან გაიარა ოთხმა კრეისერმა და ერთმა სატრანსპორტო გემმა.

გიბრალტარი, 12 ოქტომბერი. „დეილ მეილს“-ს ატყობინებენ: ინგლისის აქაურმა ესკადრამ ბრძანება მიიღო, წასასვლელად მომზადება 13 ოქტომბრამდე დაამთავრეო. ესკადრა საჩქაროდ ნახშირით იტვირთება.

ესკიმო, 12 ოქტომბერი. წყნარ ოკეანეში მყოფმა ინგლისის ესკადრამ ბრძანება მიიღო, დაუყოვნებლივ მანდ შეგროვდითო. ნავთ სადგურსა და ყაზარმებში სიცოცხლემ შესამჩნევად იმატა.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა მის უდიდებულესობას, 12 ოქტომბერს. „12 ოქტომბერს მანჯურიის არმიაში მტერთან შეტაკება არ ყოფილა. მარჯვენა ფრთის ფრონტზე მთელი დღე სუსტი საარტილერიო სროლაა. 11 ოქტომბერს ღამე ორი პოლკის მოხალისეები გაგზავნილ იქმნენ ერდაგაგოუს სამხრეთით, მტრის შესავიწროებლად. ერთი რაზმი ჩაუსაფრდა მტერს, განთიადისას თოფები დაუშინა იაპონელთა მოწინავე დარაჯებს და სამხრეთისკენ დაახევინა. მეორე რაზმმა, იმ ადგილებიდან, სადაც მტერი იდგა, გამოიტანა ჩვენი ზარბაზნის წინა ნაწილი. ჩვენმა შუალა ჯარის რაზმმა, რომელიც ორ როტისაგან შესდგებოდა, დაზვერა ადგილები, უკან დააწევინა იაპონელთა მოწინავე რაზმებს სოფელ ჰოუთჰაიდის. როცა ჩვენ რაზმის ფრთესთან მტრის დიდი რაზმი გამოჩნდა, ჩვენი რაზმი სოფ. სახეპუს დაბრუნდა, მოასწრო წინა ბრძოლაში ჩვენ მოკლულთა რამდენიმე გვამის დასაფლავება და იპოვა ბევრი სამხედრო მასალა. სოფ. ბენსიხუს ბრძოლაში 30 სექტემბერსს, 1-ლ ციმბირის სრეტენსკის პოლკის დროშა 12 ალაგას იყო გახვრეტილი ტყვიით და ჯვარი ჩამოგდებული ჰქონდა“. გენერალი სახაროვი დეპეშით აუწყებს მთავარ-შტაბს: „ღამე 12 ოქტომბერს მტერთან შეტაკება არ მომხდარა. ჩვენი მოხალისეები აწუხებდენ მტერს მთელ ფრონტზე“.

ჩიფუ, 13 ოქტომბერი. იაპონიის კონსული ყოველ ღონისძიებით სცდილობს დაარღვიოს მეგობრული განწყობილება ადგილობრივ ზოგიერთ ჩინელებსა და რუსებს შორის სხვა და სხვა საშუალებებას ხმარობს, აშინებს და თხოულობს კიდევაც მთავრობისაგან ჩინელების დატყვევებას. კონსულმა მოითხოვა, დაენიშნოს კანტროლი ჩიფუდან მომავალ ყველა ნავებს. ამისათვის შინტუნის ნაპირებზე ჩინელი დარაჯებია დაყენებული. იაპონიის კონსული, თავის მხრით, დარაჯებს 50 დოლარს აძლევს თვეში. ამავე დროს ამით სარგებლობენ იაპონელები, ასუსტებენ კანტროლს თავიანთ კონდრაბანტაზე. ისინი ყიდულობენ დიდძალ ბოსტნეულობას, ტყავებს და ყველაფერს ვეიხაივეის გზით ბრძოლის ველზე გზავნიან.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

13 ოქტომბერი

პეტერბურგი. კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ინფანტერიის გენერალი ა. ა. ფრეზე დაინიშნა ვილნოს, კოვნოს და გროდნოს გენერალ-გუბერნატორად და ვილნოს სამხედრო ოლქის უფროსად.

აბო. დაიწყო სენატორად ნამყოფ შაუმანის საქმის გარჩევა. შაუმანს ბრალად ედება, რომ იგი ღალატს უპირებდა სახელმწიფოს. ბრალდების ოქმის წაკითხვის შემდეგ შაუმანს ჩვენება ჩამოართვეს. შაუმანმა არ იცნო თავი დამნაშავედ. სასამართლომ 26 ოქტომბრისათვის დანიშნა მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა.

ვაშინგტონი, 12 ოქტომბერი („რეიტერი“). სახელმწიფო დეპარტამენტიდან ეცნობათ დეპეშით საზღვარ გარედ შეერთებულ შტატების წარმომადგენელთ, გადასცენ მთავრობათ, რომლებთანაც არიან, რუზველტის მოწვევა ახალ კონგრესზე ჰააგაში, ძირითად კონვენციის მნიშვნელობის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად. კონგრესმა განსაკუთრებით რამე ღონე უნდა იღონოს, რომ შემდეგში მაინც უფრო ნაკლებათ მიმართონ მოპირისპირეებმა იმ საზარელ საშუალებათ, რომლებითაც დღეს ებრძვიან ერთმანერთს. კონგრესმა უნდა განიხილოს ის ზომები, რომლებითაც დაცულ და გაფართოებულ იქნება სანეიტრალო სავაჭრო ზღვაოსნობა გაშლილ ზღვაში. სად და როდის უნდა მოხდეს ეს კონფერენცია, დამოკიდებულია მონაწილე სახელმწიფოთა უმეტესი რიცხვის სურვილზე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთელი ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—2)

იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა

„**ორი ჯიბგირი**“

დრამა 5 მოქ. და 7 სურ., თხზ. პიერ დე-კურსელისა, თარგ. ვასო აბაშიძისა. გამოცემა ნიკო მირველოვისა. (1—352—1)

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კანტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევი საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავალდო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—57)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი 1882 მოსკოვი 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისთვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს **1860** წელს

1860
ТРЕУГ.
С.-ПЕТЕРБУРГЪ

რეზინის კალოშების

ყიდვის დროს სთხოვენ

ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს,

განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს

„1860“ და სიტყვას

„**С.-Петербургъ**“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობს და აწარმოებს სავაჭრო სახლი

„**ლეოპოლდ ნეიშელლერი**“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ლამკენტში. და **ტფილისს**

60—59

Дозволено цензурою, 13 октября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბა“.

Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.